



**საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების  
შედეგად იძულებით გადაადგილებულ ქალთა  
საჭიროებათა კვლევა**

[www.unifemcis.org](http://www.unifemcis.org)



იძულებით გადაადგილებულ  
ქალთა საჭიროებათა სწრაფი შეფასება:  
დასკვნები და რეკომენდაციები

საზოგადოებრივი პოლიტიკის  
ინსტიტუტი

2008 წლის ოქტომბერი  
თბილისი

შეთასება განხორციელებულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის (IPS) მიერ და გაეროს ქალთა ფონდის, UNIFEM-ის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

ამ შეფასებაში მოცემულია მხოლოდ საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს ქალთა ფონდის თვალსაზრისს.

შეთასება განხორციელდა საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტმა. კვლევის ჯგუფს ხელმძღვანელობდა ნანა სუმბაძე და შედგებოდა მაია მაისურაძის, ეკატერინე ფირცხალავას, ანასტასია ქიტიაშვილისა და თამარ მახარაძისაგან. იძულებით გადაადგილებულ პირთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ინფორმაცია მოგვაწოდა ნანა აღაპიშვილმა (არასამთავრობო ორგანიზაცია “ნდობა”), ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა დღევანდელი საჭიროებების შესახებ მოგვაწოდა ნაზი ბერუაშვილმა.

IPS საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი განსაკუთრებულ მადლობას უხდის თამარ საბედაშვილს, გენდერის საკითხებში UNIFEM-ის მრჩეველს საქართველოში, მისი მხარდაჭერის, რჩევისა და ხელმძღვანელობისათვის.

გარკვეულ შემთხვევებში არ არის მითითებული რესპოდენტთა სახელები მათი ღირსების დაცვის მიზნით.



# სარჩევი

1. შესავალი	
1.1. იძულებით გადაადგილებული ქალების საჭიროებათა შეფასების საფუძვლები	4
1.2. საჭიროებათა შეფასების მეთოდოლოგია	5
2. რესპონდენტთა დემოგრაფიული მონაცემები	5
3. ომის გამოცდილება	7
4. სახლების მიტოვება	10
5. თავშესაფარი	11
6. წყალი და სანიტარული პირობები	12
7. საკვები	13
8. სხვა საჭირო ნივთები	15
9. ჯანმრთელობა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა	17
10. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფები	20
11. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა	22
12. მართვა და მონაწილეობა	23
13. ეკონომიკური მდგომარეობა და მომავლის ხედვა	25
14. რეკომენდაციები	27
დანართი 1: პრიორიტეტულ საჭიროებათა ნუსხა	31

## შემოკლებები და აკრონიმები

<b>იგპ</b>	იძულებით გადაადგილებული პირი
<b>ჯანმო</b>	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
<b>CEDAW</b>	კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ
<b>IASC</b>	სააგენტთაშორისი მუდმივმოქმედი კომისია
<b>SPSS</b>	სტატისტიკური პაკეტი სოციალური მეცნიერებისათვის
<b>UNIFEM</b>	გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის (გაეროს ქალთა ფონდი)
<b>UN SCR</b>	გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია

# 1. შესავალი

## 1.1. იძულებით გადაადგილებულ ქალთა საჭიროებების შეფასების საფუძვლები

2008 წლის აგვისტოში სამხედრო მოქმედებების გააქტიურებას ცხინვალის რეგიონში მოჰყვა სრულმასშტაბიანი შეტაკება საქართველოს ჯარებსა და ცხინვალის რაიონის დე-ფაქტო ხელისუფლებას დაქვემდებარებულ ფორმირებებსა და რუსეთის შეირალებულ ძალებს შორის. ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა, როდესაც ბრძოლები განახლდა საქართველოს მეორე კონფლიქტურ რეგიონში, აფხაზეთში, რასაც რუსული ჯარების მიერ ორივე რეგიონს გარეთ პოზიციების დაკავება მოჰყვა.

ბრძოლამ ადამიანების დიდი რაოდენობით გადაადგილება გამოიწვია. მაშინ, როდესაც 127, 499 აღრიცხული იძულებით გადაადგილებული პირიდან აგვისტოში 68,000-მა უკვე მოახერხა შინ დაბრუნება, მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ იძულებით გადაადგილებული პირია საქართველოს ტერიტორიაზე და მათგან 50 პროცენტზე მეტი ქალები არიან.<sup>1</sup> 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად ახალი იძულებით გადაადგილებული პირები შეემატა საქართველოში მანამდე არსებული დევნილების (220 000 ადამიანზე მეტი) რაოდენობას, რომლებიც 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე, ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მომხდარი კონფლიქტების დროს იქცნენ იძულებით გადაადგილებული პირებად.

ხელმძღვანელობდა რა „ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციისა“ (CEDAW) და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 1325 და 1820 „ქალებს, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ როგორც ურთიერთ შემავსებელ დოკუმენტებით, გაეროს ქალთა ფონდმა, UNIFEM-მა ფინანსური და ტექნიკური დახმარება გაუწია საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტს აგვისტოს მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული ქალების საჭიროებების კვლევაში. შეფასება წარმოადგინა უსაფრთხოების, კონფიდენციალურობის, პატივისცემისა და არა-დისკრიმინაციის პრინციპების დაცვით, როგორც ეს გენდერთ გაპირობებულ ძალადობის შემთხვევებში ინტერვენციის თაობაზე სააგენტოთაშორისი მუდმივმოქმედ კომიტეტის მითითებებსა,<sup>2</sup> და ამავე კომიტეტის ჰუმანიტარული მოქმედების გენდერულ სახელმძღვანელოში არის ჩამოყალიბებული (2006).<sup>3</sup>

შეფასების მთავარ მიზანს წარმოადგენდა იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებების ზუსტი დადგენა, იმისათვის რომ უფრო კარგად ყოფილიყო გამიზნული დახმარება და მას ერთნაირად სასარგებლო შედეგები მოეტანა ქალების, გოგონების, ბიჭებისა და მამაკაცებისათვის.

მიზნების დონეზე, ეს შეფასება: ა) გვაძლევს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისას გადაადგილებული ადამიანების, განსაკუთრებით ქალების სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის მოკლე დახასიათებას; ბ) აფასებს ქალთა როლს გადამწყვეტილების მიღების საქმეში, რათა შესაძლებელი გახდეს მათი საჭიროებებისა და პრობლემების გათვალისწინება კოლექტიური ცენტრების დაგეგმვასა და მართვაში ისევე, როგორც მათი ხელმისაწვდომობის გაზრდაზე ჰუმანიტარული დახმარებისა და მომსახურების და ამავდროულად მათი განსაკუთრებული საჭიროებების გასათვალისწინებლად (რეპროდუქციული ჯანმრთელობა, გენდერთ გაპირობებული ძალადობა); გ) წარუდგენს დასკვნებსა და რეკომენდაციებს გაეროს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, დონორებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა უფრო ზედმიწევნით იქნას შემუშავებული ინტერვენცია ჰუმანიტარული კრიზისის არა მარტო მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაშიც, კერძოდ განვითარების ფაზაში. შეფასება ასევე გამოყენებულ იქნა ქალებისათვის საკუთარი უფლებების შესახებ მეტი ინფორმაციის მიწოდებისთვის, CEDAW-ში, გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 და 1820 რეზოლუციებით ასახული მათი უფლებების დაცვის მექანიზმებისა და ასევე იმის შესახებ, თუ როგორ გახდნენ უფრო მგრძობიარე ადამიანთა ტრეფიკინგის საფრთხის პოტენციური გაზრდის მიმართ.

წინამდებარე ანგარიშში ასახულია შეფასების ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.

<sup>1</sup> UNDP Georgia Crises Flash Appeal: Revision, 2008, 1, 19.

<sup>2</sup> «ყველა მოქმედი პირი თანახმაა დაემორჩილოს იმ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც მინიმუმამდე ამცირებენ გადარჩენილის/მსხვერპლისათვის მიყენებულ ზიანს და მაქსიმალურად ზრდიან აღკვეთისა და რეაგირების ქმედითობას. სახელმძღვანელო პრინციპები გენდერთ გაპირობებულ ძალადობის აღკვეთისა და რეაგირების სამოქმედო გეგმის ყველა ელემენტში ჩართული, და როგორც მინიმუმ უნდა შეიცავდეს: გადარჩენილების/მსხვერპლთა და მათი, ვინც ქალს დაეხმარა, ფიზიკური უსაფრთხოების გარანტიას, კონფიდენციალურობის გარანტიას, გადარჩენილთა/მსხვერპლთა სურვლების, უფლებების და ღირსების პატივისცემას, და უნდა გამოდინარეობდეს ბავშვის ინტერესებიდან.» (IASC, 2006).

<sup>3</sup> სააგენტოთაშორისი მუდმივი კომისიის გენდერული სახელმძღვანელო ჰუმანიტარული ქმედებაში (2006), ხელმისაწვდომია:

<<http://ochaonline.un.org/HumanitarianIssues/GenderEquality/KeyDocuments/IASCGenderHandbook/tabid/1384/Default.aspx>>


## 1.2. საჭიროებათა შეფასების მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა 2008 წლის 5-29 სექტემბერს, შერეული (ხარისხობრივი და რაოდენობრივი) მეთოდოლოგიის გამოყენებით. ხარისხობრივი კომპონენტი მოიცავდა 15 დისკუსიას დევნილი მამაკაცების, ქალების, და ქალებისა და კაცების შერეულ ჯგუფებთან თბილისის, ქუთაისისა და გორის კოლექტიურ ცენტრებში. ამასთანავე ჩატარდა 30 ჩალრმავებული ინტერვიუ საერთაშორისო ორგანიზაციების, ხელისუფლებისა და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავდა კოლექტიურ ცენტრებში განთავსებული დევნილი ქალებისა და მამაკაცების გამოკითხვას. ოთახიდან მხოლოდ ერთი ადამიანი იყო გამოკითხული. გამოკითხვის პრინციპით გამოყენებული იყო იერარქიული შერჩევა, რომელიც ეფუძნებოდა ქვეყანაში არსებული მოსახლეობის განაწილებას სქესისა და ასაკის მიხედვით. გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ, ინსტიტუტის გამოცდილი ინტერვიუერების მიერ თბილისში, გორში, ქუთაისში და მათ შემოგარენში.<sup>4</sup> შეზღუდული დროის გამო, გამოკითხვაში არ იყო გათვალისწინებული კერძო სექტორში განთავსებული გადაადგილებულ პირების საჭიროებების შესწავლა.

## 2. რესპონდენტთა დემოგრაფიული მონაცემები

იძულებით გადაადგილებულ პირთა მოთხოვნების შეფასება ეფუძნება გამოკითხვის შედეგად მიღებულ პასუხებსა და ჯგუფურ განხილვებს იგპ-თან. სულ გამოკითხა 1144 პირი, 47.1% მამაკაცი და 52.9% ქალი – თბილისში, გორსა და ქუთაისში, მათი გარეუბნების ჩათვლით. გამოკითხვების უმრავლესობა ჩატარდა კოლექტიურ ცენტრებში, საბავშვო ბალებში, ადმინისტრაციულ შენობებსა და საავადმყოფოებში, იმ ადგილებში, სადაც იგპ-ები ცხოვრობენ. გამოკითხულთაგან მხოლოდ 3.0% იყო გორის „კარვების ქალაქში“ დაბინავებული.




ნახ. 1

რესპონდენტთა განაწილება ასაკის მიხედვით

რესპონდენტთა 97 პროცენტი ქართველები იყვნენ, 2.2 პროცენტი ოსები და 0.8 პროცენტი სხვა ეთნიკური წარმომავლობის. რესპონდენტთა 9.3 პროცენტი აღნიშნავდა, რომ მათი ოჯახები მრავალეროვანია, რომელიც ძირითადად შედგება ქართველებისა და ოსებისაგან. უმრავლესობა (65.4%) იყო დაქორწინებული, 2.7 პროცენტი თანაცხოვრობდა, 2.1 პროცენტი იყო განქორწინებული ან გაყრილი, 19.0 პროცენტი მარტოხელა და 10.9 პროცენტი - ქვრივი.

რესპონდენტთა ოჯახები, უმეტესად ოთხი წევრისგან შედგებოდა (ოდენობა ცვალებადობდა 1-დან 15 წევრამდე). სულ რესპონდენტებმა დაასახელეს 5083 ოჯახის წევრი. მათ შორის:

<sup>4</sup>კითხვარი 188 შეკითხვისგან შედგებოდა. გამოკითხვის ჩატარებამდე გამოცდილ იქნა 30 ადამიანზე. ინტერვიუები საშუალოდ 25 წუთი გრძელდებოდა. 1200 ჩატარებული ინტერვიუდან 50 უარყოფილი იყო, რადგან არ აკმაყოფილებდა სტანდარტებს. 1144 რესპონდენტის პასუხები შეყვანილ იქნა შპშმ-ის კომპიუტერულ პროგრამაში და გაანალიზდა.



ნახ. 2

რესპონდენტთა ოჯახის წევრების განაწილება ასაკის მიხედვით


კონფლიქტამდე, გამოკითხულთა უმრავლესობა – 60 პროცენტი – ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტურ ზონაში ცხოვრობდა, 31 პროცენტი – ე.წ. სამხრეთ ოსეთის მომიჯნავე, ე.წ. ბუფერულ ზონაში, და მხოლოდ 9 პროცენტი - კოდორის ხეობის (ზემო აფხაზეთი) მაცხოვრებელი იყო. რუსეთის შეიარაღებული ძალების ბუფერულ ზონებში განლაგებული სოფლებიდან გასვლის შემდეგ ოქტომბრის დასაწყისში, იგპ-თა უმრავლესობამ შინ დაბრუნება დაიწყო. კოდორისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რაიონებიდან გამოდევნილი მოსახლეობა უნდა მივიჩნიოთ უფრო გრძელვადიან დევნილებად, რადგან მათი შინ დაბრუნების პერსპექტივა არ არის ნათელი.

**სულ 1144 ადამიანი იქნა გამოკითხული, 47.1% მამაკაცი და 52.9% ქალი**

**გამოკითხულთა 97% ქართველები იყვნენ, 2.2% ოსები და 0.8% - სხვა ეთნიკური წარმომავლობის**

**9.3%-ს ჰყავს მრავალწლოვანი ოჯახი, რომელიც ძირითადად შედგება ქართველებისა და ოსებისაგან.**

**ყველაზე ხშირია 4 წევრიანი ოჯახები (რაოდენობა ცვალებადობს 1-დან 15-მდე)**



ნახ. 3

გადაადგილებული რესპონდენტები ადგილმდებარეობის მიხედვით

გამოკითხულთა დიდი ნაწილი (88.2%) რეგისტრირებულია ხელისუფლების მიერ, როგორც დევნილი, მაგრამ რეგისტრაცია მხოლოდ პირველი ნაბიჯია და იგი არ აძლევს მათ იგპ-ის სტატუსსა და შესაბამისი დახმარების პაკეტს. სახელმწიფოს ფულადი დახმარება გაიცემა რესპონდენტთა შებენი რაოდენობაზე (13.7%), ხოლო რესპონდენტთა უმრავლესობა (86.3%) საერთოდ არ იღებს ფულად დახმარებას. რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი, ვინც ფულად დახმარებას იღებს სახელმწიფოსაგან, თბილისშია დაბინავებული (18.2%), ამას მოჰყვება ქუთაისი (12.9%) და გორი (5.7%).<sup>5</sup>

<sup>5</sup> ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემები წარმოდგენილია ცალკეულ სქესისა და ადგილმდებარეობის მიხედვით, ჯგუფებს შორის სტატისტიკური განსხვავება არის  $p < .001$   $p < .05$  ალბათობის დონეზე.

### 3. ომის გამოცდილება

კონფლიქტით დაზარალებული რაიონიდან გამოსული ყველა ასაკისა და ეთნიკური წარმომავლობის ქალები და მამაკაცები უკიდურესად ტრავმირებულნი არიან კონფლიქტითა და გადაადგილებით, განსაკუთრებით ისინი, ვინც საკუთარი თვალთ შეესწრო სამხედრო შეტაკებებს, ვინც მძევლად აიყვანეს, მოწმე იყო, ან თავად გახდა სექსუალური ძალადობის, წამებისა, თუ არაადამიანური მოპყრობის სხვა ფორმების მსხვერპლი, ვინც გახდა დაბომბვის, სროლების და აფეთქებების მოწმე.

ჩვენთვის მოთხრობილი ამბები ძირითადად ასახავს ეთნიკურად ქართველი იგპ-ისა ან იმ ეთნიკურად ოსი ქალებისა და მამაკაცების ტანჯვასა და ტრაგედიას, ვინც ქორწინებით, ან სხვა მხრივ არის დაკავშირებული ქართველებთან.

ეს არ გვიშლის ხელს იმის გასაცნობიერებლად, რომ ომის შედეგად იყო შემთხვევები, როდესაც ოსმა მოქალაქეებმაც განიცადეს ტანჯვა. მართალია, ძალადობის მასშტაბები და დაზარალებული ადამიანების რაოდენობა უდაოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ყოველი ცალკეული ადამიანის ბედი, მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა ერთნაირად მნიშვნელოვანია. გვაქვს რა ხელთ უკიდურესად სასტიკი და ამავედროული გულისშემძვრელი ამბები, ჩვენ დავდევით დილემის წინაშე, რა სახით გამოგვექვეყნებინა ისინი, იმისათვის, რომ არ გაგვემწვავებინა ეთნიკური შუღლი ქართველებსა და ოსებს, ან ქართველებსა და რუსებს შორის. შეგროვილი ინფორმაციიდან ამონარიდების შერჩევისა და ფართო საზოგადოებისათვის პატარა მონაკვეთების წარდგინებით, ჩვენ გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ტრაგედიის მასშტაბს, რომელიც მრავალმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა და სხვა კონფლიქტებით დაზარებულმა ადამიანმა განიცადა. ამასთან, მიზნად ვისახავთ გამოვავლინოთ მათი ყველაზე მწვავე საჭიროებები, რათა მცირედით მაინც შევუმსუბუქოთ ტკივილი.

**რესპონდენტთა 89.6% უშუალოდ განიცადა დაბომბვა (92 მამაკაცი და 875 ქალი)**

**67% სამხედრო მოქმედებები (70% მამაკაცები და 66% ქალები)**

**50% იყო სიკვდილის ან დაჭრის თვითმხილველი (66% მამაკაცები და 34% ქალები)**

“მრავალი ადამიანი ემსხვერპლა დაბომბვას. ბიძაჩემი მიზე კაიდარაშვილი სახმელეთო ნალმზე აფეთქდა საკუთარ ბაღში. დაკარგა თვალი, მარჯვენა ხელი და ფეხები. ახლა ინტენსიურ სამედიცინო მკურნალობას გადის, ჩემს მეზობელს სოფელ ბროცლეთიდან, ვოვა არხიპოვს ბობმის ნატეხი მოხვდა და ფეხი წააგლიჯა”<sup>6</sup>.

“მამაჩემი 11-ში გარდაიცვალა, ღამის 12 საათზე დაბომბვის შედეგად. ჩვენი და ჩვენი მეზობლების სახლები დაიბომბა და დაინგრა. ბიძაჩემს ფეხი მოწყდა. ჩვენს მეზობლებს, მოხუც წყვილს, დაბომბვის შედეგად დაღუპული ვაჟიშვილის დასაფლავება საკუთარ ეზოში მოუხდათ.”<sup>7</sup>

<sup>6</sup> ინტერვიუ 29 წლის დევნილ ქალთან.

<sup>7</sup> ინტერვიუ 26 წლის დევნილ მამაკაცთან.

მათგან, ვინც დაბომბვა საკუთარ თავზე გამოსცადა, 91.6 პროცენტი მამაკაცი და 87 პროცენტი ქალი იყო, მამაკაცების 69.7 პროცენტი და ქალების 66 პროცენტი იყო ღია სამხედრო დაპირისპირების მოწმე. მამაკაცები ასევე ქალებზე მეტად იყვნენ სისხლისღვრის მოწმენი: მამაკაცების 65.7 პროცენტმა და ქალების 34.3 პროცენტმა აღნიშნა, რომ იყო სიკვდილის ან დაჭრის თვითმხილველი.

კონფლიქტის ზონის მიტოვება განსაკუთრებით ძნელი იყო ხანდაზმულებისა და ავადმყოფებისათვის. ბევრმა მათგანმა ვერ შეძლო სოფლიდან გამოსვლა და დაიღუპა, როგორც ეს დაემართა 80 წლის სეროჟა გუნდიაშვილს, რომელიც სანოლს იყო მიჯაჭვული, სახლში მართო დარჩა და საკუთარ სახლში ცოცხლად ჩაიწვა. იგივე რესპონდენტმა გაიხსენა შემთხვევა, როგორ გადაარჩინეს ოჯახის წევრებმა ერთი წყვილი ბრმა ქალი და სანოლს მიჯაჭვული მამაკაცი.<sup>8</sup>

“12 აგვისტოს ამირან ბიბილური და მისი მეუღლე ცენტრალური გზით იგოეთიდან გორისკენ მიდიოდნენ, როცა ბომბი მათ მანქანას მოხვდა. ამირანი იქვე გარდაიცვალა, ხოლო მისი მეუღლე დაიჭრა და საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.”<sup>9</sup>

რესპონდენტთა 20 პროცენტი აცხადებს, რომ აქვს ინფორმაცია ადამიანების გატაცების შესახებ, მათ შორის ქალები 9.0 პროცენტს შეადგენდნენ. გატაცებულთა ასაკი 15-დან 81 წლამდე ცვალებადობს, ყველაზე ხშირად, გატაცებული ადამიანების ასაკად რესპონდენტები 50 წელს ასახელებენ.

“10 აგვისტოს აჩაბეთში 72 წლის მოხუც მემობელ ქალთან ერთად, სახლში ვიყავით, როცა ოსი ბოევიკები სახლში შემოგვივარდნენ. მათ ყველაფერი დაამსხვრიეს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მოგვაყენეს, სცემეს ჩემი ქმარი, თავში თოფის ტარს ურტყამდნენ. მერე ცხინვალში გადაგვიყვანეს, №6 სკოლის სარდაფში. იქ სამი დღე გავგაჩერეს. ჩემს ქმარს გულის შეტევა დაემართა. მე ოსურად ვლაპარაკობ და ჩემი თხოვნით საავადმყოფოში გადაგვიყვანეს, მე მოვახერხე ჩემს ოს ბიძაშვილთან დაკავშირება და მან გაგვათავისუფლა ჩვენ და ჩვენი მემობელი (72 წლის). ასე დავბუნდით სოფელში და იქ ჩვენი სახლი გადამწვარი დაგვხვდა. ორ დღეს დავრჩით სოფელში და მერე თბილისში ჩამოვედით, სადაც ჩემი ქმარი გარდაიცვალა.”<sup>10</sup>

კოლექტიურ ცენტრებში ჩატარებული გამოკითხვებისა და განხილვების მიხედვით, ცხინვალის ციხის ბევრ ბინადარს ფიზიკურ და სექსუალურ შეურაცხყოფას აყენებდნენ, აიძულებდნენ გაენმინდათ ქუჩები და დაეკრძალათ მიცვალებულები. ზოგი მათგანი გაათავისუფლეს ფულის გადახდის შემდეგ, აგრეთვე, ოსი მეგობრების, წითელი ჯვრისა და საქართველოს მთავრობის ჩარევის შედეგად.<sup>11</sup> ერთმა რესპონდენტმა თამარაშენელი ქალის ამბავი გვიამბო, რომელიც მისი ვაჟის ოსი მეგობრის ჩარევის შედეგად გაათავისუფლეს. ოსმა ახალგაზრდამ ის ქალი ციხიდან გამოიყვანა და საკუთარ სახლში ჰყავდა ორი კვირა, მერე კი კონფლიქტის ზონის დატოვებაში დაეხმარა.<sup>12</sup>

გამოკითხულთა 12.1 პროცენტი ამბობს, რომ აქვს ინფორმაცია წამების შემთხვევების შესახებ. წამების სავარაუდო მსხვერპლთაგან ქალები 18.3 პროცენტს შეადგენდნენ. რესპონდენტთა 1.6 პროცენტმა განაცხადა, რომ თავად იყო წამების მსხვერპლი. ქალებზე (4.7% და 7.9%) მეტი მამაკაცი (10.2% და 16.0%) იყო ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლი. ფიზიკური შეურაცხყოფა ქალების მიმართ ხშირად სექსუალურ შეურაცხყოფასთან ასოცირდება. მასთან დაკავშირებული სტიგმის გამო სავარაუდოა, რომ ბევრი ქალი უბრალოდ არ აღიარებს, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა რაიმე სახის ფიზიკურ თუ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ამ ფონზე, გასაკვირია, რომ ფსიქოლოგიური კონსულტაცია, ერთხელ მაინც მამაკაცების მხოლოდ 16.5-მა და ქალების 24 პროცენტმა მიიღო.

“26 აგვისტოს, 72 წლის ქალი, სოფელ მელვრიკისიდან, რომელსაც პირადად ვიცნობდი აწამეს და მერე მოკლეს. მისი გვამი აკუნეს.”<sup>13</sup>

“დედაჩემი ოსი იყო, ის მელვრიკისში დარჩა, უნდოდა სახლი გადაერჩინა. დაბობმვისას დაიჭრა. ქართველმა ცოლ-ქმარმა ის რუს ჯარისკაცებს მიუყვანა და მათ ის მოარჩინეს. მეორე დღეს ოსმა ბოევიკებმა მოაკითხეს და მოსთხოვეს ეთქვა, საით წავიდნენ ის ქართველები. დედამ არ უთხრა და მაშინ წყლის არხში დაახრჩვეს. ჩვენმა მემობლებმა დედაჩემი ჩვენს ეზოში დაასაფლავეს. მე სამ დღეს ვცდილობდი სოფელში შესვლას, დედა რომ დამემარხა, მაგრამ ვერ შევძელი. მამა-ჩემი ცხინვალის წინა ომის დროს დაიღუპა.”<sup>14</sup>

<sup>8</sup> ინტერვიუ 88 წლის დევნილ ქალთან.

<sup>9</sup> ინტერვიუ 45 წლის დევნილ ქალთან.

<sup>10</sup> ინტერვიუ 53 წლის დევნილ ქალი.

<sup>11</sup> დისკუსიები თბილისის, გორის და ქუთაისის კოლექტიურ ცენტრებში, 5 - 29 სექტემბერი, 2008.


<sup>12</sup> ინტერვიუ 34 წლის დევნილ მამაკაცთან.

<sup>13</sup> ინტერვიუ 73 წლის დევნილ ქალთან.

<sup>14</sup> ინტერვიუ 44 წლის დევნილ მამაკაცთან.

დედაჩემი, ვალენტინა თედევა და ჩემი ძმა, მერაბ თეთრაშვილი ბაღში იყვნენ, როცა ბოევიკები შეუვარდნენ და ორივე სასტიკად აწამეს. შედეგად, ჩემი ძმა გარდაიცვალა.”<sup>15</sup>

ყველაზე ხშირად მოძალადეები ოსი ბოევიკები იყვნენ (79 შემთხვევა), მერე რუსი ჯარისკაცები (41 შემთხვევა), ოსი სამოქალაქო პირები (38 შემთხვევა) და კაზაკები (29 შემთხვევა). აღსანიშნავია, რომ იგპ-თა 41.7 პროცენტი ოსი სამოქალაქო პირების მოქმედებას ახასიათებს, როგორც მეგობრულს, 24.3 პროცენტი როგორც ნეიტრალურს და 34.0 პროცენტი, როგორც მტრულს. ის ფაქტი, რომ იგპ-თა უმრავლესობა ოსი მოქალაქეების ქცევას მეგობრულად ან ნეიტრალურად აფასებს იმედის მომცემია და ნდობის აღდგენის და სახალხო დიპლომატიის წარმატების შესაძლებლობის საფუძველს იძლევა.



ნახ. 4

დევნილთა მიმართ გამჟღავნებული დამოკიდებულების ხასიათი

კონფლიქტმა და გადადგილებამ ძალიან უარყოფითი ზეგავლენა იქონია ქალების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. კონფლიქტის დაწყებისთანავე, UNIFEM-მა დაიწყო ინფორმაციის შეგროვება ქალების მდგომარეობასა და ასევე სხვადასხვა სახის გენდერული ძალადობის შესახებ, რომელიც ახალგაზრდა გოგონებმა, მოწიფულმა და ხანში შესულმა ქალებმა განიცადეს. საუბედუროდ, არსებობს მონაცემები სექსუალური ძალადობის შესახებ, განსაკუთრებით ეთნიკურად ქართველებით დასახლებულ სოფლებში, რომელთაც თავს ოსებისა და კაზაკების არაფორმალური შეიარაღებული შენაერთები ესხმოდნენ. იმ ინტერვიუებისა და მკვლევართა აბსოლუტურ უმრავლესობას, ვინც საჭიროებათა შეფასებაში მიიღო მონაწილეობა, ქალები შეადგენდნენ და ისინი შესაბამისად, ინფორმირებულნი იყვნენ არაპირდაპირი კითხვების დასმის შემთხვევაშიც კი იმ თემების განსაკუთრებულ მგრძობიარობაზე, რომლებიც სექსუალურ ძალადობას შეეხებოდა.<sup>16</sup> გამოკითხვამ გამოავლინა, რომ რესპონდენტთა 6.3 პროცენტს ქალების წინააღმდეგ ჩადენილი სექსუალური ძალადობის თაობაზე ჰქონდა ინფორმაცია. ამ 6.3 პროცენტიდან (70 რესპონდენტი), 21.0 პროცენტს ინფორმაცია ჰქონდა გაუპატიურების, 32.8 პროცენტს ჭკუფური გაუპატიურების, 14.3 პროცენტს გაუპატიურების მცდელობის შემთხვევებზე და 31.0 პროცენტი არ აზუსტებს ძალადობის სახეობას. მხოლოდ 1 პროცენტი მიუთითებს, რომ იყო გაუპატიურების მოწმე. გაუპატიურებული ქალებისა და გოგონების ასაკი ცვალებადობს 12-დან 77 წლამდე, მათგან 25-35 წელი ყველაზე ხშირადაა ნახსენები.

თუ გავითვალისწინებთ იმ ტაბუს, რომელიც ქართულ საზოგადოებაში სექსუალური ძალადობის მიმართ არსებობს, უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოთ მოყვანილი ფაქტები მხოლოდ აისბერგის წვერზე მიგვანიშნებს, და რომ აუცილებელია შესაბამისი ფსიქო-სოციალური და სამედიცინო სამსახურების (ასევე, იურიდიული კონსულტაციის მომსახურების ამოქმედება მათთვის, ვინც გენდერზე დაფუძნებული ძალადობის მსხვერპლი გახდა (სექსუალური ძალადობის ჩათვლით).

ავვისტოს მოვლენების შედეგად, იგპ-თა 3.4% აცხადებს, რომ დაკარგა ოჯახის წევრი, ხოლო 15.9% ნათესავი. ამასთან 4.6% ოჯახის წევრი და 9.4% ნათესავი იქნა დაჭრილი. ამასთანავე, 0.8% თქმით ოჯახის წევრი, ხოლო 15.9% თქმით მისი ნათესავი არის უგზოუკვლოდ დაკარგული. უფრო მეტი დაღუპული, დაჭრილი ან დაკარგული ნათესავები დაასაფლავეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტური ზონიდან გამოსულმა რესპონდენტებმა, ვიდრე მათ ვინც იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა კონფლიქტის მიმდებარე ტერიტორია და კოდორის ხეობა.


<sup>15</sup> ინტერვიუ 39 წლის დევნილ მამაკაცთან.

<sup>16</sup> კითხვარის იმ ნაწილის შემუშავებისას, რომელიც ეხებოდა გენდერით გაპირობებულ ძალადობას გამოყენებულ იქნა IASC, სახელმძღვანელო ინტერვენციებზე ჰუმანიტარულ გარემოში გენდერულ საფუძველზე არსებული ძალადობის წინააღმდეგ: ფოკუსი საგანგებო ვითარებაში სექსობრივ ძალადობის პრევენციასა და მასზე რეაგირებაზე, 2005 წლის სექტემბერი და მჭო, ეთიკური და უსაფრთხოების რეკომენდაციები კვლევის, დოკუმენტაციის და მონიტორინგისათვის სექსობრივი ძალადობის შემთხვევებში საგანგებო ვითარებაში, 2007 წელი.

## 4. სახლების დატოვება

რესპონდენტთა უმრავლესობამ (83.9%-მა) სახლები ომის დროს, ანუ 2008 წლის 7-დან 12 აგვისტომდე პერიოდში დატოვა. 10.5 პროცენტმა სახლი სამხედრო კონფრონტაციის დამთავრების შემდეგ და მხოლოდ 5.6 პროცენტმა კონფლიქტის დაწყებამდე დატოვა.<sup>17</sup> ყველაზე დიდი გადაადგილება შეინიშნებოდა 8, 9 და 10 აგვისტოს.

პასუხად შეკითხვაზე, თუ ვინ ურჩია მათ კონფლიქტური ზონის დატოვება, უმეტესობამ მიუთითა ოჯახის წევრებზე, ნათესავებსა და მეზობლებზე და მხოლოდ მცირე ნაწილმა ხელისუფლებაზე.



ნახ. 5

ვიგანაც მხარდაჭერა მიიღეს იგპ-მა სახლების დატოვებისას

მოსახლეობა არ იყო მზად კონფლიქტური ზონის დასატოვებლად. ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. ბევრმა რესპონდენტმა გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ ხელისუფლებამ არ გააფრთხილა ისინი და არ დაეხმარა მათ კონფლიქტის ზონიდან გამოსვლაში. თუმცა ამავე დროს, ბევრი მათგანი, განსაკუთრებით მამაკაცები აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებას დიდი არჩევანი არ ქონდა და ომი გარდაუვალი იყო. და მაინც, ხელისუფლებას მეტი ყურადღება და მხარდაჭერა უნდა აღმოეჩინა მოსახლეობისათვის, უნდა მეტად ეზრუნა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.<sup>18</sup>

„იმ შემთხვევაშიც კი, თუ ომის არიდება შეუძლებელი იყო, მთავრობას უნდა გაეფრთხილებინა მოსახლეობა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ჩვენი შვილები საოცრად შეშინებულები არიან; ზოგი ჩვენი მეზობელი ცოცხლად დაინვა და გარდაიცვალა, ისინი საკუთარ ეზოებში დასაფლავეს...“<sup>19</sup>

„მე სამშობიაროდან გამოვიქეცი, დამის პერანგის ამარა, ერთი დღის ბავშვით ხელში. ფანჯრის მინები ძირს ცვიოდა. ნაჭერიც კი არ მქონდა, რომ ბავშვი შემეხვია. ჩვილი დედაჩემის შავ ჟაკეტში გავახვიე. მადლობა ღმერთს, გამოცდილება მქონდა – ხუთი შვილის დედა ვარ. სამშობიაროში კი ახალგაზრდა დედები იყვნენ და პანიკაში ჩავარდნენ.“<sup>20</sup>


რესპონდენტებს ასევე ვთხოვდით დაეზუსტებინათ, რა საბუთების წამოღება ვერ შეძლეს გამოქცევისას. ყველაზე ხშირად დასახელებული იყო პრივატიზაციის დოკუმენტები და დაბადების მოწმობა.

<sup>17</sup>13-მა რესპონდენტმა არ დაასახელა სახლის დატოვების თარიღი.

<sup>18</sup>დისკუსიები თბილისის, გორისა და ქუთაისის კოლექტიურ ცენტრებში. 5-29 სექტემბერი, 2008.

<sup>19</sup>დისკუსია გორის კოლექტიურ ცენტრში ქალების ჯგუფთან. 10 სექტემბერი, 2008.

<sup>20</sup>დისკუსია თბილისის კოლექტიურ ცენტრში ქალების ჯგუფთან. 11 სექტემბერი, 2008.



ნახ. 6

შინ დარჩენილი დოკუმენტები

1011 გამოკითხული რესპონდენტიდან, ვინც შესაბამის კითხვას უპასუხა, 79.3 პროცენტი მამაკაცი და 20.7 პროცენტი ქალი არის იმ ქონების კანონიერი მესაკუთრე, რომლის დატოვებაც მათ მოუხდათ.

კოლექტიურ ცენტრებში ჩატარებული შეხვედრებისას დევნილები ხშირად ამბობდნენ, რომ ისინი კრიზისის სრულებით მოუმზადებლები შეხვდნენ. ისინი მოელოდნენ, რომ ხელისუფლება გააფრთხილებდა მათ და დახმარებას გაუწევდა იმ შემთხვევაში, თუ მათ სახლების მიტოვება მოუხდებოდათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სამოქალაქო პირების მოუმზადებლობამ, სამხედრო მოქმედებების სწრაფი განვითარების ფონმა განაპირობა მათი ძალადობისადმი ექსპონირება და გახდა იმის მიზეზი, რომ მათ ვერ შეძლეს აუცილებელი საბუთებისა და ძვირფასეულობის გამოტანა.

## 5. თავშესაფარი

კოლექტიური ცენტრებში არსებულ საცხოვრებელ პირობებს რესპონდენტთა 18.8% აფასებდა როგორც საშუალოს; მხოლოდ (7.4%) აფასებდა მათ, როგორც კარგს, ხოლო მესამედზე მეტი (33.9%) მიიჩნევს, რომ საბინაო პირობები ცუდია. საცხოვრებელი პირობები ყველაზე დადებითად იყო შეფასებული გორში (16.7%) და ყველაზე უარყოფითად თბილისში (4.1%).

რესპონდენტთა უმრავლესობა (91.1%) არ უჩიოდა მზის სინათლის ნაკლებობას ოთახებში, ხოლო (66.8%) აღნიშნავდა, რომ ფანჯრები კარგ მდგომარეობაშია. დიდ პრობლემას წარმოადგენდა განმარტოების შესაძლებლობის ქონა. ერთ ოთახში ან ერთ კარავში მაცხოვრებელ ადამიანთა რაოდენობა მერყეობდა 1-დან 49-მდე (საშუალოდ 6 ადამიანი). ყველაზე დიდი რაოდენობა გორში აღინიშნა ( $M=10.6$ ), მერე თბილისში ( $M^{21}=4.3$ ) და ქუთაისში ( $M=3.4$ ). მართალია, უმრავლესობა მხოლოდ საკუთარი ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ ოჯახების 12.1 პროცენტს მაინც ნათესავებთან ოთახში, ხოლო 7.9 პროცენტს არა ნათესავებთან ერთად უხდებოდა ცხოვრება. რესპონდენტების 85.7 პროცენტი ჩიოდა იმის თაობაზე, რომ ტანსაცმლის ჩასაცმელად ოთახში განმარტოების საშუალება არ ჰქონდათ. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (63.8%) აცხადებს, რომ ოთახის საკეტები ფუნქციონირებდა.

„ძნელია უცხო ხალხთან ერთად ერთ ოთახში ცხოვრება, მათ შორის ბევრი მამაკაცია; ჩემს ოთახში 11 მამაკაცია. ტანსაცმლის გამოსაცვლელად სანოლში ვწვები.“<sup>21</sup>

<sup>21</sup> ინტერვიუ 52 წლის დევნილ ქალთან.

რესპონდენტთა უმრავლესობამ (83.2%) აღნიშნა, რომ კოლექტიურ ცენტრებში ელექტროენერგიით მომარაგების მხრივ პრობლემა არ ჰქონდათ.

თავშესაფრის პრობლემას ართულებს ის ფაქტი, რომ ბევრ იძულებით გადაადგილებულ პირს მოუხდა რამდენიმე ადგილის გამოცვლა და უმრავლეს შემთხვევაში ეს მათი ნების წინააღმდეგ მოხდა. ასევე, გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ ჰქონდა ინფორმაცია თავშესაფარიდან გადაყვანის გეგმის არსებობის შესახებ.

“მე რამდენჯერმე მომიხდა საცხოვრებლის მიტოვება. პირველად ცხინვალი მივატოვე და ერგნეთში გადავედი, მერე გორში, ახლა კი გორიდან თბილისში და მაინც არ ვიცი, ისევ როდის და სად წავალ. ვინმე ხომ ვერ ამიხსნის, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი?”<sup>22</sup>

## 6. წყალი და სანიტარული პირობები

სასმელი წყალი ბევრისთვის პრობლემას წარმოადგენდა. ნახევარზე მეტი (57.3 %) აღნიშნავდა, რომ მოქმედი წყლის ონკანები არ არის საკმარისი. ონკანები ძირითადად შენობაშია განთავსებული (72.5 %) და ოთახთან ახლოს (61.5 %). წყლით მუდმივად მარაგდებოდა იგპ-თა 74.6 პროცენტი, 13.7 პროცენტი წყალს განრიგით იღებდა და 9.6 პროცენტი - დროგამოშვებით. თბილი წყალი რესპონდენტთა უმეტესობისთვის მიუწვდომელი იყო (84.9%), 87.7 პროცენტს შხაპის მიღების საშუალება არა ჰქონდა. დისკუსიისას მრავალმა ქალმა აღნიშნა, რომ გასარეცხად და ბავშვების დასაბანად საკუთარი სათლები სჭირდებოდათ.

პრობლემა არსებობს ასევე, საპირფარეშოების მდგომარეობისა და რაოდენობის მხრივ. რესპონდენტთა 51.6 პროცენტი აღნიშნავდა, რომ საპირფარეშოების რაოდენობა არა იყო საკმარისი. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა იყო ქუთაისში (65.5 %). საპირფარეშოების მდგომარეობას, როგორც ცუდს მიიჩნევს 46.8 პროცენტი და მხოლოდ 7% ამბობს, რომ იგი კარგია. საპირფარეშოების უმრავლესობა შენობებშია განთავსებული (84.0%) და შესაბამისად ოთახების სიახლოვეს არის (63.9%). 15.9 პროცენტმა აღნიშნა, რომ საპირფარეშოები შენობის გარეთ არის განლაგებული, 24.5 პროცენტმა საშუალო აღნიშნა, ხოლო 11.5 პროცენტმა, რომ შორ მანძილზე არის ოთახებიდან. ამასთან, იგპ-თა 67.8 პროცენტი მიუთითებს, რომ საკეტები საპირფარეშოებში მუშაობს და გზა საპირფარეშომდე განათებულია (73.2%).

17.8 % შენობაში ტარაკნები, თავგები ან ვირთხები.

47.3 % მოქმედი ონკანების ნაკლებობაა

74.6 % აქვს მუდმივი წყლის მარაგი

13.7 % წყალს გრაფიკით იღებს

9.6 % წყალს დროდადრო იღებს

27.3 % წყლის ხელმისაწვდომობას მიიჩნევს უმთავრეს საზრუნავად

87.7 % არა აქვს შხაპის მიღების საშუალება

51.6 % აღნიშნავს, რომ ტუალეტების რაოდენობა არა არის საკმარისი

46.8 % საპირფარეშოების მდგომარეობას აფასებს, როგორც ცუდს

67.8 % მიუთითებს, რომ მამაკაცებისა და ქალებისათვის არ არის ცალკე საპირფარეშოები

71.0 % საპირფარეშოებში საკეტები მუშაობს და საპირფარეშოები განათებულია

10.1 % (14.2 % - ქალები, 6.0 %- მამაკაცები), თავს დაუცველად გრძნობს დაბინდების მერე საპირფარეშოში გასვლისას

21.9 % უმთავრეს საზრუნავად მიიჩნევს საპირფარეშოების რაოდენობის გაზრდას და არსებული საპირფარეშოების შეკეთებას.

<sup>22</sup> დისკუსია თბილისის კოლექტიურ ცენტრში ქალების ჯგუფთან. 11 სექტემბერი, 2008.

ამას გარდა, 67.8 პროცენტი ჩიოდა, რომ კოლექტიურ ცენტრებში არ არის ცალკე ტუალეტები ქალები-სა და მამაკაცებისათვის. (თბილისში იგპ-თა 42.3%, გორში 19.1%, ქუთაისში 19.4 %).  
 ამავე დროს, იგპ-თა 71.0 პროცენტი აცხადებდა, რომ საკეტები საპირფარეშოებში მუშაობს და რომ დაბინდების შემდეგ საპირფარეშოს გზაზე ანთია ნათურები. რესპონდენტთა 10.4 პროცენტი ღამით ტუალეტში გასვლისას თავს დაუცველად გრძნობს. ქალები (14.2%) თავს უფრო დაუცველად გრძნობენ, ვიდრე მამაკაცები (6%).

## 7. საკვები

გადაადგილების პირველ დღეებში, როცა დახმარება ჯერ ორგანიზებული არ იყო, ბევრი დევნილი ადგილობრივი მოსახლეობისა და სახელწიფო თუ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული სურსათის წყალობით გადარჩა. ჯგუფური განხილვებისას დევნილები აღნიშნავენ იმ სოლიდარობას, რომელიც ადგილობრივმა მოსახლეობამ გამოიჩინა მათ მიმართ.

უმრავლესობა (61.7%), პრობლემად მიიჩნევდა სურსათის ნაკლებობას, ხოლო 38.3 პროცენტი აცხადებდა, რომ საკმარისი საკვები აქვთ. სურსათთან დაკავშირებული პრობლემა მკვეთრად განსხვავებულია რაიონების მიხედვით. გორში მცხოვრები რესპონდენტები გაცილებით მომგებიან ვითარებაში აღმოჩნდნენ, აქ 88.7 პროცენტმა აღნიშნა, რომ სურსათის საკმარისი ოდენობა მიეწოდებათ, ხოლო ქუთაისისა (41.2%) და თბილისში (14.1%) უარესი სურათი გამოიკვეთა.

საკვების ხარისხს რესპონდენტთა უმრავლესობა აფასებს, როგორც საშუალოს (55.8%), 17.5 პროცენტი, როგორც ცუდს და 16.6 პროცენტი, როგორც კარგს. საკვების ხარისხით ყველაზე კმაყოფილები კვლავ გორში მცხოვრები დევნილები იყვნენ, ყველაზე უკმაყოფილოები კი ქუთაისში განსახლებული რესპონდენტები.

61.7% ანა აქვს საკმარისი საკვები

85.9% თბილისში განსახლებული ლტოლვილები აღნიშნავენ საკვების ნაკლებობას, მაშინ როდესაც ქუთაისში ნაკლებობას უჩივის 58.8 %, ხოლო გორში მხოლოდ 11.3 %.

55.9% აფასებს საკვების ხარისხს, როგორც საშუალოს, 17.5 %, როგორც ცუდს, 26.6 %, როგორც კარგს.

54.7% აღნიშნავს, რომ თითქმის არასდროს აქვს ცხელი საკვები. ცხელი საკვები უფრო ხელმისაწვდომია გორში – 96.4 %, ვიდრე ქუთაისში – 62.2%, ან თბილისში – 31.4% მცხოვრები რესპონდენტებისთვის.

1.7% გამოკითხვამდე კვირის მანძილზე ჰქონდა რძის პროდუქტების, 13.5% ხილის, 28.9 % ბოსტნეულის და 47.6 % ხორცის მიღების საშუალება. ამ მხრივ გორში საუკეთესო და ქუთაისში ყველაზე უარესი მდგომარეობა აღინიშნება

84.8% ურჩევნია პროდუქტების მიღება და ოჯახისათვის საკვების შინ მომზადება

11.3% ურჩევნია მზა საკვები

	თბილისი %	გორი %	ქუთაისი %	სულ %
კარგი	21	42.2	10.4	26.6
საშუალო	42.2	47.2	55.8	55.8
ცუდი	10.4	5.7	17.5	17.5

ცხრილი 1

საკვების ხარისხის შეფასება ადგილმდებარეობის მიხედვით

უმრავლესობას (54.7%) თითქმის არასდროს ჰქონია ცხელი კერძი; ცხელი კერძი უფრო გორელი რესპონდენტებისათვის იყო ხელმისაწვდომი (96.4%), ვიდრე ქუთაისელი (62.2%), ან თბილისელი დევენისთვის (31.4%).

გამოკითხვამდე ერთი კვირის განმავლობაში რესპონდენტების შეზღუდულ რაოდენობას ჰქონდა რძის პროდუქტების ან ხილის მიღების საშუალება, მეტმა რესპონდენტმა მიიღო ბოსტნეული და ხორცი. ვითარება გორში უკეთესი იყო, ვიდრე თბილისსა ან ქუთაისში.

№	პროდუქტი	თბილისი %	გორი %	ქუთაისი %	სულ %
1	ხილი	13.6	18.8	1.8	13.5
2	რძის ნაწარმი	14.2	19.7	1.8	1.7
3	ბოსტნეული	31.1	31.8	10.4	28.9
4	ხორცი	17.4	94.9	69.5	47.6


ბევრი გამოკითხულის თქმით კვება არ იყო ბალანსირებული. ზოგიერთმა ქალმა ამ პრობლემის მოგვარების შემდეგი საშუალება გამონახა:

“ჩვენ მართლაც ლობიოს და მაკარონს ვიღებთ. ვერც ბავშვი და ვერც უფროსი ამ საკვებით ვერ იარსებებს. ამდენად, ზოგმა ჩვენგანმა გადაწყვიტა ლეიბების გაყიდვა, ასე, რომ ოთხნეწიანი ოჯახი ორ ლეიბს გაყიდოს და დანარჩენ ორს იმყოფინებს, იმისათვის, რომ ცოტა ფული იშოვოს და აუცილებელი საკვები იყიდოს.”<sup>23</sup>

დევენის განსხვავებული მოთხოვნები აქვთ საკვების მიწოდების თვალსაზრისით. 84.7 პროცენტს ურჩევნია საკვები პროდუქტი მიიღოს და თვითონ მოამზადოს საკვები ოჯახისათვის. 11.3 პროცენტი უპირატესობას მზა საკვებს ანიჭებს. ზოგი ამჯობინებს პროდუქტები ოჯახისთვის ცალკე მიიღოს, მაგრამ სხვებთან ერთად მოამზადოს საკვები (2.0%), სხვები უპირატესობას ანიჭებენ საერთო მარაგიდან მორიგეობით საკვების მომზადებას (1.9%).

რესპონდენტები აცხადებენ, რომ ყოველდღიურ საკვებს მათ უმეტესად საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობა აწვდიდა.

<sup>23</sup> დისკუსია ქალთა ჯგუფთან თბილისის კოლექტიური ცენტრში. 8 სექტემბერი, 2008.




ნახ. 7  
დევნილების საკვებით მომმარაგებლები

რესპონდენტებიდან 20.4 პროცენტს (20.7% თბილისში, 26.3% გორში და 5.4 % ქუთაისში) არ გააჩნდა საჭმლის მომზადების საშუალება. რესპონდენტების 66.7 პროცენტს (91.1% თბილისში, 31.4% გორში და 41.1 % ქუთაისში) არ ჰქონდა მაცივრით სარგებლობის საშუალება.

## 8. სხვა საჭირო ნივთები

დევნილები ყველაზე მეტად მომარაგებულები იყვნენ ლეიბებით (62.9%) და სანოლებით (61.0%). რესპონდენტთა მეხუთედზე ნაკლებს ჰქონდა ბალიშები და საბნები. გადაადგილებული პირები მიუთითებდნენ თეთრეულის ნაკლებობაზე. საუკეთესო შემთხვევაში, თეთრეული, რომელიც მათ მისცეს, იყო ერთჯერადი დახმარება, რომლის გარეცხვის ან გამოცვლის საშუალება მათ არ ჰქონდათ.



ნახ. 8  
სანოლების, ლეიბების, თეთრეულის, საბნების და ბალიშების ნაკლებობა

57.4 პროცენტს ჰქონდა მაგიდა, 46.5 პროცენტს - სკამები და მხოლოდ რესპონდენტთა მეხუთედს - საკუთარი ნივთების შესანახი ადგილი (22.7%).

„ყველას სჭირდება სათლი სარეცხის გასარეცხად და ბავშვების დასაბანად. გვჭირდება საცვლები, წინდები და ქოშები. ჩვენ სახლები იმ ტანსაცმლით მივატოვეთ, რაც იმ დროს გვეცვა.... ჩვენ მოგცეს თეთრეულის ერთი წყება, მაგრამ არ გვაქვს თეთრეულის გარეცხვის შესაძლებლობა.“<sup>24</sup>

<sup>24</sup> დისკუსია გორის კოლექტიურ ცენტრში. 9 სექტემბერი, 2008

№	პროდუქტი	თბილისი %	გორი %	ქუთაისი %	სულ %
1	მაგიდა	50.1	68.6	62.1	57.4
2	სკამი	38.5	54.1	63.1	46.5
3	ნივთების შესა- ნახი ადგილი	29.1	12.7	17.6	22.7

ცხრილი 3  
ავეჯის ნაკლებობა ადგილების მიხედვით

რესპონდენტები ძირითადად საუბრობდნენ ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ნაკლებობაზე. 87.9 პროცენტმა აღნიშნა, რომ არ აქვს ფეხსაცმელი, ხოლო 80.7 პროცენტი ტანსაცმლის ნაკლებობაზე მიუთითებდა.

№		თბილისი %	გორი %	ქუთაისი %	სულ %
1	ტანსაცმელი	86.2	71.9	77.1	80.7
2	ფეხსაცმელი	88.4	88.6	84.2	87.9

ცხრილი 4  
ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ნაკლებობა ადგილების მიხედვით

ვითარება ბევრად უკეთესია ჰიგიენის დასაცავი საშუალებების თვალსაზრისით, სათლის გამოკლებით, რომელიც 67.7 პროცენტს არა აქვს. კიდევ ერთხელ გამოვლინდა მნიშვნელოვანი განსხვავებები ადგილმდებარეობის მიხედვით, ამ შემთხვევაში ქუთაისში დაბინავებული დევნილები საუკეთესოდ აღჭურვილები აღმოჩნდნენ ჰიგიენის საგნებით.

№		თბილისი %	გორი %	ქუთაისი %	სულ %
1	კბილის ჯაგრისი	82.1	85.6	96.8	85.2
2	კბილის პასტა	76.6	84.6	96.5	81.8
3	საპონი	74.3	85.0	90.8	79.8
4	ჰიგიენური საფენები/ ტამპონები	68.1	67.9	93.0	71.6
5	სარეცხი ფხვნილი	62.4	66.6	85.2	66.9
6	სათლი	60.7	31.9	85.3	55.8
7	ბავშვის საბანაო სათლი	29.0	17.5	77.5	32.3

ცხრილი 5  
ხელმისაწვდომობა ჰიგიენის საგნებზე


დევნილები ნაღდი ფულის არქონას ერთ-ერთ უპირველეს პრობლემად ასახელებდნენ.

„ფული არა გვაქვს, მამაკაცები უსიგარეთოდ იტანჯებიან, ბავშვებს უამრავი რამ ესაჭიროებათ, ისინი ითხოვენ ლიმონათს, ნაყინს და ა.შ. კარგი იქნებოდა, ცოტაოდენ ფულად დახმარებას რომ ვიღებდეთ.“<sup>25</sup>

<sup>25</sup> დისკუსია გორის კოლექტიურ ცენტრში. 9 სექტემბერი, 2008

## 9. ჯანმრთელობა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა

მამაკაცები და ქალები განსხვავებულად აფასებენ თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობას, აგვისტომდე და აგვისტოს მოვლენების შემდეგ. მამაკაცები, ქალებთან შედარებით, მას უფრო დადებითად აფასებენ, მაგრამ ვითარების გაუარესება აგვისტოს მოვლენების შემდეგ თვალშისაცემია და მსგავსია ორივე სქესისთვის. იმ ადამიანების რიცხვი, ვინც თავის ჯანმრთელობას აფასებს, როგორც ცუდს, გაორმაგდა, როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს შორის. ამდენად, ჯანმრთელობა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა მნიშვნელოვანი პრობლემებია, რომელებიც მიხედვას საჭიროებს.



ნახ. 9

მამაკაცებისა და ქალების მაჩვენებელი, ვინც თავისი ჯანმრთელობა შეაფასა, როგორც ცუდი

ორივეს, ქალებს (53.7%) და მამაკაცებს (49.3%), ურჩევნია, რომ ექიმები მათ საცხოვრებელ ადგილებზე ეწვიონ, და თავად არ წავიდნენ კლინიკაში.

განსხვავებულია ქალისა და მამაკაცის შეხედულება გადაადგილების შემდეგ მამაკაცების მიერ ალკოჰოლის მოხმარების შესახებ; ქალები აცხადებენ, რომ გადაადგილების შემდეგ მამაკაცები მეტს სვამენ (30.4%), ხოლო მამაკაცები (34.1%) პირიქით, თვლიან, რომ ნაკლებად მოიხმარენ ალკოჰოლურ სასმელს.

კოლექტიურ ცენტრებში ეპიდემიის გავრცელების შემთხვევები არ დაფიქსირებულა, თუმცა ქრონიკული დაავადებების გამწვავება აშკარა იყო. სტრესისა და საცხოვრებელი პირობების გაუარესების გარდა, ქრონიკული დაავადებების გართულება დანიშნული წამლების რეგულარული მიღების შეზღუდული შესაძლებლობით აიხსნება.

გამოკითხვის შედეგებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ქალებს მამაკაცებზე მეტად აღელვებდათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები. მამაკაცებთან (79.5%) შედარებით მეტი ქალი (87.8%) აღნიშნავდა, რომ მათ ოჯახებს ესაჭიროება მკურნალობა, და გაცილებით მეტი ქალი (62.7%) მამაკაცებთან შედარებით (46.1%) გასინჯა ექიმებმა. ქალები (61.8%) მამაკაცებთან შედარებით (48.7%) უფრო ჩახედულები აღმოჩნდნენ, თუ სად უნდა მიემართათ ჯანდაცვის სამსახურებისთვის, და ამასთანავე, მამაკაცებზე (24.5%) მეტმა ქალმა (35.3%) კონსულტაციისათვის მიმართა ფსიქოლოგს.

დევნილობა ურთულესი გამოცდილებაა ქვეყნის, საზოგადოებისა და ცალკეული ადამიანებისათვის. დევნილობა მატერიალურ სირთულეებთან ერთად დაკავშირებულია ფსიქო-სოციალურ და სომატური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებასთან და ფიტავს ადამიანურსა და სოციალურ კაპიტალს. ქვემოთ მოყვანილი ფაქტორები შეიცავენ დევნილთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობის გაუარესების საფრთხეს:

- დევნილები აწყდებიან სრულ გაურკვევლობას, რაც გამოწვეულია მათი ქონებრივი სტატუსის, დანაკარგების კომპენსაციისა და დაბრუნების შანსების შესახებ სანდო ინფორმაციის ნაკლებობით (გაურკვევლობა განსხვავდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან გადაადგილებლთა შემთხვევაში);
- კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე დარჩენილ ოჯახის წევრებზე და ნათესავებზე დარდი;
- დამცირების გრძნობა, რომელიც გამოწვეულია: უსახლკარობით, სიღარიბით, არადაამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობებით, შხაპის მიღების, განმარტობის საშუალების, მრავალფეროვანი და საკმარისი საკვების, დამოუკიდებლად გადაადგილებისა და ოჯახის აუცილებელი მინიმუმით უზრუნველყოფის საშუალების არქონით;

- უკულებელყოფით. შეფასების მონაცემების მიხედვით მოსახლეობის უმავლესობა არ იყო გაფრთხილებული მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. მათთვის არ მიუციათ არც რჩევა და არც დახმარება გაუწევიათ ტერიტორიის დატოვებისას; ბევრი ლტოლვილი არ ფლობდა ინფორმაციას დახმარების, განსახლებისა და დაბრუნების შესაძლებლობების შესახებ; დევნილები არ იყვნენ ჩართულნი მათი ამჟამინდელი ან მომავალი ცხოვრების შესახებ გადამწყვეტილების მიღების პროცესში.

თუ არ მოხდა ამ რისკ-ფაქტორების შემცირება ისინი გამოიწვევენ ფსიქო-სომატური გამოვლინებების, ლოთობისა და ნარკომანიის (უპირატესად გადაადგილებულ მამაკაცებში) და ძალადობის ზრდას (ოჯახური და ბავშვთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ჩათვლით).

იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსს ბევრი რესპონდენტი დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ გამოცდილებად აღიქვამს. მათთვის ის უსახლკარობასთან და სხვაზე დამოკიდებულებასთან ასოცირდება. როგორც იძულებით გადაადგილებულ ქალთა ერთი ჯგუფის წევრებმა შენიშნეს, მაღალია იმის რისკი, რომ დევნილთა დღევანდელი მდგომარეობა, ანუ პასიურობა, საკუთარი თავის მსხვერპლად აღქმა, რომელიც მუდამ ვილაცის დახმარებას მოელის, მუდმივ მდგომარეობაში გადაიზრდება.<sup>26</sup> ასეთი პერსპექტივის ძლიერ ეშინიათ იძულებით გადაადგილებულ ქალებსაც და მამაკაცებისაც და მათ სურთ რაიმე იღონონ ამასთან დაკავშირებით. მათ უნდათ იყვნენ აქტიური მოქმედი ძალა, სუბიექტები და არა ობიექტები იმ პროცესებში, რაც უშუალოდ მათ ცხოვრებას და მომავალს შეეხება. როგორც მამაკაც, ისე ქალ დევნილებს სურთ მეტად იყვნენ ჩართულნი იმ გადამწყვეტილებების მიღების საქმეში, რაც მათ სტატუსს და პირობებს შეეხება.

“ჩემთვის დევნილის სტატუსი შეურაცხმყოფელია. ჩვენ შეგვიძლია მუშაობა, და ნაცვლად ამისა აქ უმოქმედოდ ვსხედვართ.”<sup>27</sup>

“დევნილობა დამამცირებელია. აქ ხალხს ჰგონია, რომ არაფერი გვაქვს, მაშინ, როცა სახლში, რომელიც მივატოვე და ახლა დანგრეულია, რაც მჭირდებოდა, ყველაფერი მქონდა. მეორედ ვარ იძულებით გადაადგილებული; პირველად ცხინვალიდან მომიხდა გამოსვლა, ახლა ტირძინისიდან. ერთი ტონა ატამი მქონდა დასაკრეფი, ახლა კი ფული არა მაქვს, რომ შვილს ერთი ატამი ვუყიდო...”<sup>28</sup>

გადაადგილებულ პირებს საკუთარი და ოჯახის წევრების უსაფრთხოება აწუხებთ.

“მე სოფელში დარჩენილ ოჯახის წევრებს ვურეკავ და როცა ისინი ტელეფონის ზარს არ პასუხობენ, ჯკუიდან ვიშლები, მგონია, რომ რალაც დაემართათ. როცა თვითმფრინავის ხმა მესმის, კანკალი ამივარდება და ბავშვს მაგრად ვიკრავ გულში”.<sup>29</sup>

გადაადგილებული პირები უძძიმეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში არიან. ისინი რეაგირებენ სტიმულის გამახსენებელზე, ახასიათებთ ზეაღზნება, უძილობა, კომპარები და სომატური რეაქციები – ჰიპერტენზია, თავის ტკივილი, გაღიზიანება, კუჭისა და მომწიფებელი ტრაქტის პრობლემები, მარტოობისკენ მიდრეკილება, აკვიატებული ფიქრი იმაზე, თუ რა მოხდა.

მათ, ვინც ოჯახის წევრები დაკარგეს აქვთ დარდისა და გლოვის ძლიერი რეაქციები. ფსიქოლოგები, რომლებიც ლტოლვილებთან მუშაობენ აღნიშნავენ, რომ ბევრ ლტოლვილს აწუხებს შფოთვა, აქვს შიშები და უიმედობის განცდა, ზოგი დეპრესიულ მდგომარეობაშია.<sup>30</sup> ზოგს ეჩვენება განცდილი - ესმის აფეთქების ხმა და ხედავს იმას, რაც საკუთარი თვალთა ნახა. საკუთარი ემოციური მდგომარეობით გამოწვეულ შიშზე ხშირად საუბრობენ დევნილები. ამ შიშის გამო გადაადგილებული პირები ერიდებიან შენობიდან გასვლას და სხვებთან შეხვედრას. ამგვარი რეაქციები განსაკუთრებით გამწვავებულია იმ ადამიანებში, ვინც აფეთქებას ან სიკვდილს შეესწრო.

ბევრი ბავშვი უაღრესად მგრძობიარე გახდა მცირე ხმაურის მიმართაც კი, აქვთ შიშები, სომატური პრობლემები – თავის ტკივილი, კუნთების ტკივილი. არის რეგრესიის შემთხვევებიც, როგორცაა ენურები (ღამის უნებლიე შარდვა).

ზოგ მეძუძურ დედას სტრესის გამო რძე დაუშრა, რისი შედეგიც კიდევ უფრო დამძიმებულია იმით, რომ უმეტესობა არ იღებს ჩვილის საკვებს დახმარების სახით და თვითონ უხდება მისი ყიდვა.

<sup>26</sup> დისკუსია ქალებთან გორის კოლექტიურ ცენტრში. 9 სექტემბერი, 2008.

<sup>27</sup> დისკუსია მამაკაცებთან გორის კოლექტიურ ცენტრში. 9 სექტემბერი, 2008.

<sup>28</sup> დისკუსია ქალებთან თბილისის კოლექტიურ ცენტრში. 11 სექტემბერი, 2008.

<sup>29</sup> ინტერვიუ 44 წლის ქალთან.

<sup>30</sup> ინტერვიუ ნანა აღაპიშვილთან, არასამთავრობო ორგანიზაცია ‘ნდობა’-ს ხელმძღვანელთან, ინტერვიუ დევნილების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე აღებულ იქნა რამოდენიმეჯერ 2008 წლის 5-დან 29 სექტემბრამდე.

ბევრ ადამიანს დანაშაულის ძლიერი გრძნობა აქვს, მაგ. 49 წლის დევნილ ქალს დანაშაულის გრძნობა აწუხებს საკუთარი ძროხების მიმართ – მან ისინი სოფლის მიტოვებამდე ბოსელში დააბა. თითქმის ყოველ ღამე ესიზმრება ერთი და იგივე სიზმარი – ძროხები მოდიან და ეკითხებიან – რატომ დაგვაბიო?<sup>31</sup>

ზეაგზნება ხშირად ხდება ოჯახური კონფლიქტის მიზეზი. ბრაზის ამონთხევაც ხშირია. ახალგაზრდა ქალმა გვითხრა, რომ იმის გამო, რომ არ სურს საკუთარი ბრაზი გამოხატოს და ოჯახში დაძაბულობა გამოიწვიოს, დასაწყნარებლად და იმისათვის, რომ უსამართლოდ არ მოექცეს ოჯახის წევრებს ტანს სველი ტილოთი იბელს.<sup>32</sup>

უიმედობა და გაურკვეველი მომავლის მოლოდინი ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს. ლტოლვილთა უმრავლესობა თავს მოტყუებულად, დამცირებულად და უგულვებელყოფილად მიიჩნევს.

საშუალო სკოლის ბევრი მასწავლებელი, რომელთაგან უდიდესი უმრავლესობა ქალია, აღნიშნავს, რომ სამხედრო მოქმედებებმა ძლიერი ზემოქმედება იქონია მათი და მათი მოსწავლეების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მესხიერების პრობლემები გაუჩნდათ, ავინყდებათ მოსწავლეების სახელები, უჭირთ ყურადღების კონცენტრაცია. მასწავლებლები მიუთითებენ, რომ ბავშვები ძალადობრივ, აგრესიულ თამაშებს თამაშობენ. სკოლის ერთმა მოსწავლემ ასეთი თამაში გამოიგონა: ის ჭერს უმიზნებს კალამს, და ამბობს, რომ იქ რუსი თვითმფრინავია, უნდა ესროლოს და ჩამოაგდოს. ახლა ამ თამაშს თითქმის ყველა მისი თანატოლი თამაშობს გორის სკოლაში. მასწავლებლები ვერ აკონტროლებენ ბავშვების აგრესიას. ერთ-ერთმა მასწავლებელმა გვიამბო იმის შესახებ, როგორ დაეცა თავზარი იმის დანახვაზე, რასაც ბავშვები ჩადიოდნენ საკლასო ოთახში. სკოლის დანყებიდან სამი კვირის თავზე. კიდევ არიან გორში ბავშვები, რომლებიც ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო ღღემდე არ გამოცხადებულან სკოლაში.<sup>33</sup>

გორში დევნილთა განსახლების ადგილებში შეხვდებით ბავშვებს, რომლებსაც მუტიზმი (საუბრის ოდენობის მკვეთრი შემცირება) აღნიშნებათ. ეს ბავშვები უარს ამბობენ ლაპარაკზე, ან უკიდურესად ცოტას ლაპარაკობენ. ის ბავშვები, რომლებმაც ოჯახის წევრები დაკარგეს მძიმე გლოვის ნიშნებს ავლენენ.

მოსახლეობის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასებამ (ტრავმის გამოვლენის/სკრინინგის კითხვარი და მოვლენების ზემოქმედება), გამოავლინა, რომ უარეს მდგომარეობაში არიან 40-65 წლის მამაკაცები, ორსული ქალები და ისინი, ვინც გაიტაცეს. მამაკაცების მდგომარეობა ალბათ აგრესიის პირისპირ აღმოჩენილი ოჯახების დაცვის უუნარობის გამო აღძრულ დანაშაულის გრძნობას შეიძლება მიეწეროს.<sup>34</sup>

სტრესმა გააძლიერა ძალადობა, უმეტესად ალკოჰოლის მომატებული მოხმარების გამო. დევნილები აღნიშნავენ, რომ არიან ოჯახური ძალადობის შემთხვევების მოწმენი.

ქალების 30.4% ფიქრობს, რომ გადაადგილების შემდეგ მამაკაცები მეტ ალკოჰოლს ეტანებიან, ხოლო მამაკაცების 34.1% მიიჩნევს, რომ – ნაკლებს. მამაკაცების 3.6% და ქალების 8.6% აცხადებს, რომ გადაადგილების დროს შეესწრო ოჯახურ კონფლიქტებს.

„ნასვამი მამაკაცები ცოლებს ეჩხუბებიან და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ. მეზობლად რამდენიმე ასეთი ოჯახია, მაგრამ არავინ ერევა“.<sup>35</sup>

„მამაკაცები ცოლებს ეჩხუბებიან; სვამენ და ამბობენ, ამას იმიტომ ჩავდივართ, რომ დეპრესიაში ვართო. როცა ჩვენ, როგორც მეზობლები ჩავერიეთ, ქმარმა გვითხრა – ცოლი ჩემი საკუთრებაა და რასაც მინდა, იმას ვუბამო“.<sup>36</sup>

<sup>31</sup> Ibid

<sup>32</sup> Ibid

<sup>33</sup> Ibid

<sup>34</sup> Ibid

<sup>35</sup> ინტერვიუ 33 წლის დევნილ ქალთან

<sup>36</sup> ინტერვიუ 24 წლის დევნილ ქალთან

რესპონდენტთა 13.4% ჰყავს შრომის უუნარო ერთი ოჯახის წევრი, ამ 175 ადამიანიდან, 32.4 % ქალია და 67.6% მამაკაცი 87.5% - ქალი და 79.5% მამაკაცი აღნიშნავს, რომ ოჯახის წევრებს ჭირდებათ წამალი.

ექიმმა გასინჯა:

ქალების - 62.7%, მამაკაცების - 46.1%

ფსიქოლოგის რჩევა მიიღო:


ქალების – 35.3%მა, მამაკაცების - 24.5%-მა

მამაკაცების 3.6% და ქალების 8.6% აცხადებს, რომ ოჯახური კონფლიქტების მოწმენი გახდნენ


## 10. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფები

რესპონდენტების 7.0 პროცენტი აცხადებს, რომ ოჯახში ჰყავთ მეძუძური დედა. დასახელებულ 69 დედიდან, საწოლი არა აქვს 32.1 პროცენტს, 96 პროცენტი რეგულარულად ვერ ღებულობს ხილს, ბოსტნეულსა და რძის პროდუქტებს.

რესპონდენტთა 5.8 პროცენტი აცხადებს, რომ ჰყავს ორსული ოჯახის წევრი. დასახელებული 56 ორსული ქალიდან 67.9 პროცენტს არ აქვს სათანადო საკვები, 62.5 პროცენტს - ბანაობის საშუალება, 58.9 პროცენტს - ნორმალური საწოლი, 57.1 პროცენტი უჩივის სამედიცინო მომსახურებას და 41.1 პროცენტი უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ დღის განმავლობაში არ აქვს დასვენების საშუალება.



ნახ. 10  
ორსულ ქალთა საჭიროებანი



ნახ. 11  
ბავშვთა საჭიროებანი

ბავშვებისათვის ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა განსხვავდება ადგილების მიხედვით, და რაც მეტად გასაკვირია, ექიმის გასინჯვისა და კონსულტაციების რიცხვი ყველაზე დაბალია დედაქალაქში.

№	მომსახურება	თბილისი %	გორი %	ქუთაისი %	სულ %
1	გასინჯა ექიმმა	30.1	49.7	84.4	44.0
2	კონსულტაცია გაუწია ფსიქოლოგმა	5.4	27.6	64.1	25.8
3	კონსულტაცია გაუწია სოციალურმა მუშაკმა	1.1	9.3	1.4	3.6

### ცხრილი 6

იმ ბავშვების რაოდენობა ვინც ისარგებლა სამედიცინო მომსახურებით

რესპონდენტთა 58.5 პროცენტი აცხადებს, რომ კოლექტიური ცენტრის ახლოს არის სათამაშო მოედანი. რაიონები ამ მხრივ განსხვავდება ერთმანეთისგან. სათამაშო მოედნები უფრო ხელმისაწვდომია ბავშვებისათვის გორში (74.6%), ვიდრე ქუთაისსა (71.6%) და თბილისში (45.7%). ბავშვების 6.0 პროცენტს აქვს სათამაშოები, მხოლოდ მცირე რაოდენობას აქვს ეტლები (15.6 %), 6.0 პროცენტს აქვთ ღამის ქოთნები, ხოლო 33.6 პროცენტს – საფენები.

- რესპონდენტთაგან 58.5% ჰყავს 18 წლის ასაკამდე ბავშვი
- რესპონდენტთაგან 34.5% ჰყავს 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვი
- რესპონდენტთაგან 58% ჰყავს 2 წლამდე ასაკის ბავშვი
- რესპონდენტთაგან 44%-ის შვილები გასინჯეს ექიმმა, ბავშვების 25.8 %-მა მიიღო ფსიქოლოგის კონსულტაცია, და 3.6%-ს ჰქონდა შეხება სოციალურ მუშაკთან. ექიმის კონსულტაცია ყველაზე ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო თბილისში და ყველაზე მეტად ქუთაისში.
- 58.0% აცხადებს, რომ კოლექტიური ცენტრის მახლობლად აქვს სათამაშო მოედანი. მოედნები ყველაზე ხელმისაწვდომია გორში და ყველაზე ნაკლებად თბილისში.

ყოველდღიურად ხილსა და ბოსტნეულს 2 წლის ასაკამდე ბავშვების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოიხმარს (8.2%), ხილსა და ბოსტნეულს ყოველდღიურად იღებს 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების 6.3 პროცენტი.

გამოკითხულთა 13.4 პროცენტი აღნიშნავს, რომ ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი. სულ დასახელებულ იყო 175 ასეთი ადამიანი, მათგან, 67.6 პროცენტი მამაკაცია და 32.4 პროცენტი ქალი.<sup>37</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 22.2 პროცენტს არ ჰქონდა საწოლი, 83.6 პროცენტს ეტლი და 26.5 პროცენტს პენსია.

<sup>37</sup> 42 ოჯახს ყავს ერთი, ცხრა ოჯახს ორი, ორ ოჯახს სამი და ერთ ოჯახს ოთხი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი. იმ შემთხვევებიდან, როდესაც მითითებული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ასაკი სამი იყო ხუთი წლის ასაკს ქვემოთ, რვა – ექვსიდან 18 წლამდე ასაკისა, შვიდი 19-დან 24 წლისანი, 42 მათგანის ასაკი მერყეობდა 25-დან 49-მდე, 31-თან ასაკობრივი ზღვარი იყო 50-64 წელი, ხოლო 66 იყო 65 წელზე უფროსი.

## 11. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

რესპონდენტები საკუთარ მომავალთან დაკავშირებით განიცდიან ინფორმაციის უკმარისობას, 87.5 პროცენტს არა აქვს ინფორმაცია დაბრუნების შესაძლებლობაზე, 72.4 პროცენტს განსახლებაზე, და 64.6 პროცენტს – არსებული დახმარების თაობაზე.


64.6% არ მიუღია ინფორმაცია დახმარების შესახებ  
 72.4% არ მიუღია ინფორმაცია განსახლების შესახებ  
 87.5% არ მიუღია ინფორმაცია დაბრუნების შესახებ  
 63.0% საშუალება აქვს უყუროს ტელევიზორს  
 20.5% მიაჩნია, რომ ქალები, ხოლო 18.1%-ს მიაჩნია, რომ კაცები, უკეთ არიან ინფორმირებულნი მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, ხოლო 1.4%-ს სწამს, რომ ამ მხრივ გენდერული განსხვავებები არ არსებობს.  
 დახმარებასა და განსახლებაზე ყველაზე მეტად ინფორმირებულები არიან რესპონდენტები ქუთაისში ხოლო ყველაზე ნაკლებად თბილისში.

№	საკითხი	თბილისი %	გორი %	ქუთაისი %	სულ %
1	დახმარება	30.1	49.7	84.4	44.0
2	განსახლება	5.4	27.6	64.1	25.8
3	დაბრუნება	1.1	9.3	1.4	3.6

ცხრილი 7

დახმარებისა და განსახლების თაობაზე ინფორმაციის არქონა

დევნილთა უმრავლესობა (56.5%) აღნიშნავს, რომ ინფორმაცია დახმარების, თავშესაფრისა ან დაბრუნების თაობაზე მათ ძირითადად სხვა დევნილებისაგან მიიღეს. 37.4 პროცენტი ინფორმაციის ერთ-ერთ წყაროდ მედიას ასახელებს. მხოლოდ 15.1 პროცენტი აღნიშნავს, რომ შესაბამისი ინფორმაცია უშუალოდ ოფიციალური პირებისაგან (კოლექტიური ცენტრის ადმინისტრატორების, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან) მიიღეს.



ნახ. 12

ინფორმაციის ძირითადი წყაროები

დევნილები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან ხელისუფლების მათ მიმართ დამოკიდებულებისა და ინფორმაციის ნაკლებობის მხრივ.

“ჩვენთვის უმთავრესია ხელისუფლების ყურადღება, ის, რომ ვინმე მოვიდეს და სიტყვით და კონკრეტული გეგმებით დაგვამშვიდოს. ძალიან ვნერვიულობთ. გვჭირდება პასუხი კითხვებზე.”<sup>38</sup>

<sup>38</sup>დისკუსია ქალებთან თბილისის კოლექტიურ ცენტრში. 8 სექტემბერი, 2008 წლის

გამოკითხულ დევნილთა 77.4 პროცენტს აქვთ მობილური ტელეფონი, მაგრამ აქედან 23.8 პროცენტს არა აქვს მისი მოხმარების საშუალება. 5.4 პროცენტს არა აქვს მობილური ტელეფონი, მაგრამ ხელი მიუწვდება მასზე. ძალიან შეზღუდული რაოდენობა, 1.3 პროცენტი იყენებს სტაციონარულ, სახლის ტელეფონს, ხოლო 16.0 პროცენტი საერთოდ მოკლებულია ტელეფონის გამოყენების საშუალებას. აქაც მონაცემები განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. გორში უფრო მეტი ადამიანი (19.1%) იყენებს ტელეფონს, ვიდრე ამას ადგილი აქვს ქუთაისში (17.5%) ან თბილისში (14.0%). მეტი მამაკაცი (57.8%) ვიდრე ქალი (47.7%) დადის სტუმრად ნათესავებთან, თუმცა მამაკაცებთან (37.5%) შედარებით უფრო მეტი ქალი (45%) ელაპარაკება ტელეფონით ნათესავებს.

63 პროცენტი აღნიშნავს, რომ აქვს ტელევიზორის ყურების საშუალება. ქუთაისში მეტი ადამიანი (87.6%) უყურებს ტელევიზორს, ვიდრე ეს გორში (77.5%) ან თბილისში (49.7%) ხდება. რესპონდენტები განიცდიან ინფორმაციის მწვავე ნაკლებობას. 87 პროცენტს არ აქვს ინფორმაცია დაბრუნების შესაძლებლობაზე; 72.4 პროცენტს განსახლების პერსპექტივებზე, ხოლო 64.6 პროცენტს არსებულ დახმარებებზე.

## 12. მართვა და მონაწილეობა

თითქმის თანაბრია იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც თვლის, რომ ქალები უფრო არიან ჩართულნი კოლექტიური ცენტრების/ბანაკების საქმიანობაში (საკვების და ტანსაცმლის განაწილება, ადმინისტრაციასთან კონტაქტი) – 47.2 პროცენტი, და ვინც ფიქრობს, რომ მამაკაცები და ქალები ერთნაირად არიან დაკავებულნი ამ საკითხებით – 45.8 პროცენტი. მაგრამ მამაკაცები და ქალები განსხვავდებიან ჩართვის ოდენობის შეფასებაში; უფრო მეტ ქალს (49.3%) ვიდრე მამაკაცს (44.8 %), მიაჩნია, რომ ქალები მეტად არიან ჩართულნი, ხოლო მამაკაცების მეტ ნაწილს (9.8 %) ქალებთან შედარებით (4.6%) საპირისპირო აზრი აქვს.

დამოკიდებულება მართვისა და ხელისუფლებასთან ურთიერთობის მიმართ განსხვავებულია ადგილმდებარეობის მიხედვით. საუკეთესო ვითარება შეინიშნება ქუთაისში და ყველაზე უარესი – თბილისში. 68.4 პროცენტს მიაჩნია, რომ დახმარების განაწილება მეტწილად სამართლიანად ხდება, 12.8 პროცენტს მიაჩნია, რომ ის ხან სამართლიანია, ხან უსამართლო, 4.3 პროცენტს არ გააჩნია ამ საკითხზე შეხედულება. ქუთაისში განსახლებული დევნილები ყველაზე ნაკლებად, ხოლო (6.2%) გორში განსახლებული ყველაზე მეტად (16.1%) მიუთითებენ უსამართლობაზე. თბილისის მაჩვენებელი ამ ორ ქალაქის მაჩვენებლებს შორის თავსდება (15.6%).

ყველა რეგიონში ერთნაირად დაბალია დევნილთა მონაწილეობის დონე დახმარების განაწილებაში. მხოლოდ 18.9 პროცენტი აცხადებს, რომ მათი ოჯახის წევრებს აქვთ მიღებული მონაწილეობა დახმარების განაწილებაში. დევნილთა ძალიან მცირე რაოდენობას (12.2%) ჰკითხეს აზრი დახმარების განაწილების თაობაზე. ყველაზე კარგი ვითარება ამ შემთხვევაშიც არის ქუთაისში, სადაც 30.1 პროცენტს დაეკითხნენ აზრს, ხოლო ყველაზე უარესი თბილისში – სულ 5.2 პროცენტი, გორში მაჩვენებელი საშუალოა - 17.7 პროცენტი.

რესპონდენტების 10.9 პროცენტი აცხადებს, რომ მათ ჰკითხეს თუ სად ერჩივნათ განსახლება. კვლავ განსხვავებულია მონაცემები რაიონების მიხედვით. აზრს უფრო მეტად დაეკითხნენ რესპონდენტებს ქუთაისში (30.0%), ვიდრე თბილისში (5.2%), ან გორში (13.9%).

რესპონდენტების 65.1 პროცენტი აღნიშნავს, რომ არჩეული ჰყავს წარმომადგენელი. საუკეთესო ვითარება გეოგრაფიული რეგიონების თვალსაზრისით ამ მხრივ თბილისშია, სადაც 73.8 პროცენტი ამბობს, რომ ჰყავს არჩეული წარმომადგენელი, ხოლო გორში (58.3%) და ქუთაისში (57.9%) თითქმის ერთნაირი ვითარებაა. დასახლებული 761 არჩეული წარმომადგენლიდან, 62.6 პროცენტი მამაკაცია და 37.4 პროცენტი – ქალი. 5.2 პროცენტი მიუთითებს კოლექტიურ ცენტრში არჩეულ კომიტეტის არსებობაზე. ამ მხრივაც რეგიონების მიხედვით დიდი განსხვავება აღინიშნება. თუ ქუთაისში 25.4 პროცენტმა მიუთითა კომიტეტის არსებობაზე, გორში მათ არსებობაზე მიუთითა 4.3 პროცენტმა, ხოლო თბილისში მხოლოდ 1.4 პროცენტმა.

- 68.4% - მიიჩნევს რომ დახმარების განაწილება მეტწილად სამართლიანად ხდება.  
უსამართლობა ყველაზე ნაკლებად არის აღქმული ქუთაისში (6.2%), ყველაზე მეტად კი გორში (16.1%). თბილისში 15.6% მიიჩნევს განაწილებას უსამართლოდ.
- 81.1%- აცხადებს, რომ მათი ოჯახის წევრებს არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა დახმარების განაწილებაში. დევნილთა მონაწილეობა დახმარების განაწილებაში ძალიან დაბალია ყველა რეგიონში.
- 16.4% - მიუთითებს, რომ მათ აზრს დაეკითხნენ განსახლების ადგილის შერჩევისას (30.1% ქუთაისში, 13.9% გორში და 5.2% თბილისში).
- 12.0% ჰკითხეს აზრი დახმარების განაწილებისას.  
საუკეთესო ვითარებაა ამ მხრივ ქუთაისშია, სადაც 30%-ს ჰკითხეს აზრი, ყველაზე უარესია თბილისში – 5.0%. გორში აზრი ჰკითხეს 18%.
- 67.1% - რესპონდენტებისა ამბობს, რომ ჰყავს ერთი არჩეული წარმომადგენელი. მათ შორის 62.6% მამაკაცია და 37.4% ქალი.
- 5.2% - აღნიშნავს, რომ კოლექტიურ ცენტრში მოქმედებს დევნილთა კომიტეტი.

მათ შორის, ვისაც კომიტეტები არ ჰყავს არჩეული, უდიდესი უმრავლესობა (80.2%) მისი არჩევის სურვილს გამოხატავს. მონაწილეობა და მონაწილეობის სურვილი განსახლებისა და მართვის საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქეთა მონაწილეობის უფრო ფართომასშტაბიან პრობლემასთან არის დაკავშირებული. მოსახლეობა დემოკრატიულ მისწრაფებას ავლენს, სწამს რა, რომ ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა მხოლოდ მოქალაქეთა მონაწილეობით არის შესაძლებელი. ამ თვალსაზრისს იზიარებს გამოკითხულთა 55.5 პროცენტი. სამწუხაროდ, ამ მოსაზრებას თან სდევს იმედგაცრუების გრძნობა იმის თაობაზე, რომ რიგით მოქალაქეს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს ხელისუფლების გადამწყვეტილებებზე (55.1).

40.8% აღნიშნავს, რომ მათთან იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები. ამ შემთხვევაშიც რესპონდენტთა პასუხები განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. ხელისუფლებისაგან ყველაზე ნაკლებ ყურადღებას გრძნობენ თბილისში განსახლებული რესპონდენტები; მხოლოდ მათი 23.9% მიუთითებს რაიმე სახის კონტაქტის არსებობაზე. გორში განსახლებულთა 56.5% და ქუთაისში განსახლებულთა 77.9% აღნიშნავს ხელისუფლებასთან ურთიერთობას.

დევნილები მიუთითებენ, რომ კოლექტიურ ცენტრში ყოფნა დახმარების განაწილების დროს მისი მიღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ეს მოთხოვნა და ის ფაქტი, რომ არ არსებობს დახმარების შემოტანის განრიგი ზღუდავს დევნილების მობილურობას და დევნილთა შვილების სკოლაში გაკვეთილებზე დასწრებას. ეს ამავდროულად დამამცირებლად აღიქმება.

“ჩვენ მიჭაჭვულები ვართ ამ შენობას. მე ბავშვები სკოლაში უნდა გავაფორმო, მაგრამ შენობიდან ვერ გავდივარ, რადგან თუ დახმარება მოვიდა, ვერაფერს მივიღებ, ჩვენ ხომ არასოდეს ვიცით, როდის მოვა დახმარება. [...] თუ იმ დროს აქ არ ვიქნებით, დახმარებას არ მოგვცემენ.”<sup>39</sup>

დევნილი მოსახლეობა მადლიერებას გამოთქვამს ადგილობრივი მოსახლეობისა და არასამთავრობოების მიერ განუხლები დახმარების გამო. მათი დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დევნილობის პირველ დღეებში, როცა სხვა დახმარება ჯერ კიდევ არ არსებობდა.


<sup>39</sup> დისკუსია ქალებთან გორის კოლექტიურ ცენტრში. 9 სექტემბერი, 2008.

### 13. ეკონომიკური პირობები და დევნილთა მიერ მომავლის ხედვა

დევნილთა გაღარიბება აშკარაა. უმრავლესობამ დაკარგა ქონება და შემოსავლისა და არსებობის მთავარი წყარო – მოსავალი და საქონელი. შესაბამისად, იმ ოჯახების წილი, რომელთა შემოსავალი ყოველთვიურად 200 ლარზე მეტს შეადგენდა, 59.1 პროცენტიდან 13 პროცენტამდე შემცირდა.


- მოსახლეობის 14.7% აღნიშნავს, რომ არანაირი შემოსავალი არ გააჩნია;
- მამაკაცების 60.8%-ს და ქალების 39.2% სურს სამუშაოდ საზღვარგარეთ წასვლა;
- რესპონდენტთა 92.1% სურს იმ საქმიანობის გაგრძელება, რასაც გადაადგილებამდე ეწეოდა. ამასთან ერთად 38.3% გამოხატავს გადამზადების სურვილს, და 39.3% კი ახალი პროფესიის შეძენა სურს;
- მამაკაცების 56% და ქალების 44% მცირე ბიზნესის წამოსაწყევბად სესხის აღების სურვილი გამოთქვა.

ადგილმონაცვლეობამდე სოფლის მეურნეობა რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა (68.5%). რესპონდენტებს შეეძლოთ დაესახელებინათ ყველა სახის საქმიანობა, რომელსაც ეწეოდნენ. 15 პროცენტმა განაცხადა, რომ სახელმწიფო სექტორში იყო დასაქმებული, ხოლო 4.2 პროცენტმა განაცხადა, რომ საკუთარი ბიზნესი ჰქონდა და 2.4 პროცენტი კი სავაჭრო სექტორში იყო დაკავებული. გამოკითხულთა 3.1 პროცენტი სწავლობდა, 12.4 პროცენტი პენსიონერები იყვნენ და 9.5 პროცენტი თავს უმუშევარს უწოდებდა. ამ ფონზე გასაკვირი არა არის, რომ მოსახლეობის მთავარ შემოსავალს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით ვაჭრობა წარმოადგენდა.



ნახ. 13  
დევნილთა შემოსავლის ძირითადი წყაროები


ახალ რეალობასთან შეგუების უნარი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ის ტრავმული მოვლენებით არის გაპირობებული, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ადამიანურ კაპიტალზე. რესპონდენტთა უმრავლესობას (52.1%) საშუალო განათლება აქვს.



ნახ. 14  
რესპონდენტთა განათლების სტატუსი

მამაკაცებზე უფრო მეტ ქალს აქვს უმაღლესი განათლება. ქალების 18.8 პროცენტს მამაკაცების 15.8 პროცენტთან შედარებით აქვს პროფესიული განათლება, ასევე ქალების 25.8 პროცენტს, მამაკაცების 21.6 პროცენტთან შედარებით საუნივერსიტეტო განათლება აქვს მიღებული. გამოკითხულთა 38.3 პროცენტმა გამოთქვა გადამზადების, ხოლო 39.3 პროცენტმა ახალი პროფესიის შეძენის სურვილი. ამავე დროს, მამაკაცების 56.0 პროცენტს და ქალების 44.0 პროცენტს სურთ სესხის აღება მცირე ბიზნესის წამოსაწყებად, ან არსებულის გასაავითარებლად.

დევნილთა დიდმა რაოდენობამ თითქმის მთელი ქონება დაკარგა, სახლ-კარის, მიწისა და მეურნეობის, შინაური ცხოველების, ფრინველისა და შემოსავლის სხვა წყაროების ჩათვლით. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ბევრს არ გააჩნია სანდო ინფორმაცია საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.



ნახ. 15

იმ დევნილთა პროცენტული მაჩვენებელი, ვინც დაკარგა მოსავალი, ბალი და საქონელი

ინფორმაცია საკუთარი სახლების მდგომარეობის შესახებ არ გააჩნია მოსახლეობის 13.7 პროცენტს. აქაც, ისევ ვლინდება მკვეთრად განსხვავებული მდგომარეობა რეგიონების მიხედვით. კოდორის ხეობიდან წამოსულ რესპოდენტთა ნახევარზე მეტს (50.5%) არა აქვს რაიმე ინფორმაცია. ამ მდგომარეობაშია კონფლიქტის ზონიდან გამოსულ რესპოდენტთა მხოლოდ 10.3 პროცენტი და ბუფერული ზონიდან გამოსულ რესპოდენტთა 9.0 პროცენტი.

მათ შორის, ვისაც გააჩნია ინფორმაცია საკუთარი სახლის მდგომარეობაზე, 70-მდე პროცენტი აღნიშნავს, რომ სახლი მთლიანად ან ნაწილობრივ დაზარალებულია. დაზარალებული სახლების უმეტესობა განლაგებულია ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტურ ზონაში.

„მირჩევნია არ ვნახო ჩემი დამწვარი სახლი. მითხრეს, რომ პიანინო ეზოშია. ვერ წაიღეს, და ამიტომ ნაჭახით მოჩეხეს თავი და ეზოში დატოვეს. ორი თვის ვიყავი, როცა მამამ ეს პიანინო მიყიდა, შავი პიანინო, სპილოს ძვლის კლავიშებით. დამტვრეული რომ ვნახო, ალბათ მოკვდები.“<sup>40</sup>

დამიანებს სტანაჭავთ არა მარტო მატერიალური ქონების დაკარგვა, არამედ მოგონებების, ფოტოების, წარსულთან კავშირის, წინაპრების საფლავებისა და პეიზაჟის დაკარგვა...ზოგი რესპოდენტი დაკარგული ქონების კომპენსაციას ითხოვს.<sup>41</sup>

რესპოდენტები დასაბრუნებლად რამდენიმე პირობის შესრულების აუცილებლობაზე საუბრობენ. მთავარი მათ შორის უსაფრთხოება და სოფლებში ქართული პოლიციის განთავსებაა.<sup>42</sup>

<sup>40</sup> ინტერვიუ 42 წლის დევნილ ქალთან

<sup>41</sup> ინტერვიუ 65 წლის დევნილ კაცთან

<sup>42</sup> ინტერვიუ 35 წლის დევნილ კაცთან

## 14. რეკომენდაციები

იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალდა და სახელმწიფოს დახმარებას საჭიროებს, გაცილებით აღემატება კოლექტიურ ცენტრებში მაცხოვრებელი დევნილების რაოდენობას, მათ ვინც ამ კვლევის უშუალო ობიექტი იყო. დაზარალებულთა რიცხვში შედიან ისინიც, ვინც კერძო ბინებში იპოვა თავშესაფარი, ისინიც, ვინც კონფლიქტის ზონაში დარჩა და ის ოჯახებიც, ვინც დევნილები შეიფარა და მასპინძლობას უწევს.

ღია კონფრონტაციას აგვისტოში უეცარი ხასიათი ჰქონდა. ადამიანები, განსაკუთრებით კონფლიქტის ზონის გარეთა სოფლებში მცხოვრებნი, დევნილობას მოუმზადებელი შეხვდნენ. მოსახლეობამ ვერ შესძლო ძვირფასეულობისა და საბუთების გამოტანა. გადაადგილების პროცესი უაღრესად დინამიური და ძნელად სამართავი იყო. დევნილი მოსახლეობის მომავლის დაგეგმვას ართულებს დაბრუნების განსხვავებული და ხშირად გაურკვეველი შესაძლებლობები.

ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდირებული ქმედებები მოქმედ პირთა ფართო სპექტრზეა ორიენტირებული, განსაკუთრებით საქართველოს მთავრობასა და ჰუმანიტარული/განვითარების ორგანიზაციებზე, გაეროს სააგენტოების ჩათვლით. კრიზისის გადალახვა და კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილება მოითხოვს კოლექტიურ მცდელობასა და მრავალი დაინტერესებული პირის თანამშრომლობას, დევნილების ჩათვლით, ვინაიდან მათ უკეთესად იციან რა არის მათი პრობლემების გადაჭრის საუკეთესო საშუალება. დემოკრატიული მმართველობა გულისხმობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც გარანტირებული იქნება მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში, დაცული იქნება ადამიანის უფლებები და სოციალური სამართლიანობა.<sup>44</sup> ამასთან მიმართებაში დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას გენდერული თანასწორობის გაზრდა და ქალების გაძლიერება წარმოადგენს.

ამ რეკომენდაციების შემუშავებისას ჩვენ ჰოლისტიური მიდგომა გამოვიყენეთ, რადგან მრავალი დაინტერესებული პირის გათვალისწინებასთან ერთად, კვლევით დადგენილი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია გრძელი და მოკლევადიანი ღონისძიებების ერთობლიობა კანონებისა და პოლიტიკის, ინსტიტუტების, სათემო ორგანიზაციებისა და ასევე რიგითი მოქალაქეების დონეზე. ჩვენი ღრმა რწმენით, რეკომენდაციების განხორციელება გაზრდის იმის ალბათობას, რომ კრიზისზე რეაგირება და აღდგენაზე მიმართული ღონისძიებები განაპირობებენ შედეგების თანასწორობას ქალებისა და კაცებისათვის.

### 1. პოლიტიკის განმსაზღვრელი ღონისძიებები

- მთავრობასთან ადვოკატირება კანონიერი სტატუსის მინიჭების დასაჩქარებლად ყველა იმ დევნილისათვის, ვისაც არ შეუძლია შინ დაბრუნება. სტატუსის მინიჭებას თან უნდა ახლდეს შემწეობებისა და სხვადასხვა სახის დახმარებების გამოყოფა. აუცილებელია, დახმარება მიბმული იყოს ყოველ ცალკეულ დევნილზე და მისი მიღება არ იყოს განპირობებული დახმარების განაწილებისას დევნილის კოლექტიურ ცენტრში ყოფნით;
- გამომდინარე იქედან, რომ დევნილთა უმრავლესობის შემოსავლის ძირითად წყაროს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის რეალიზაცია წარმოადგენდა, რაც უმეტესობამ დაკარგა აგვისტოს მოვლენების შედეგად, აუცილებელია დევნილთათვის ერთჯერადი კომპენსაციის გამოყოფა;
- მთავრობასთან ადვოკატირება და მისთვის დახმარების განწესება, რათა განხორციელებულ იქნას 2006 წლის კანონი ოჯახურ ძალადობაზე და სამოქმედო გეგმა, რომელიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლებს (კონფლიქტის დროს განხორციელებული სექსუალური ძალადობის ჩათვლით), უზრუნველყოფს თავშესაფრით, კრიზისული და სარეაბილიტაციო ცენტრებითა და სატელეფონო ცხელი ხაზით;
- დაიწყოს მთავრობასთან დიალოგი გენდერული თანასწორობის კანონის შესამუშავებლად, რომელიც შექმნის მდგრადი სახელმწიფო გენდერული თანასწორობის მექანიზმების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ პირობებს, რაც სახელმწიფო პროგრამებში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებისა და ასევე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის სახელმწიფო კოორდინაციის გარანტი იქნება;
- საქართველოს ეროვნულ ბანკთან ადვოკატირება, მიმართოს თხოვნით კერძო ბანკებს, რომ მოახდინოს სესხების ანულირება ან შეაჩეროს პროცენტის დარიცხვა დევნილებზე გაცემულ სესხებზე; ეროვნულ ბანკს შეუძლია კერძო ბანკებს გარკვეული სტიმულიც მისცეს, მაგ.: მომგებიანი პირობები შესთავაზოს ამგვარი რეალურად არაფუნქციონირებადი სესხებისათვის;

<sup>44</sup> UNIFEM. Progress of the World's Women 2008/2009. 2008.2

- თვალი მიეღვენოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნაკისრ ვალდებულებებს, დევნილი სტუდენტებისათვის გაუქმდეს სწავლის გადასახადი;
- 2009 წლის განმავლობაში დევნილები, რომლებიც აგვისტოს მოვლენებამდე სახელმწიფო სამსახურში იყვნენ, უზრუნველყოფილ იქნენ ხელფასით;
- შესწავლილ იქნას კერძო სექტორში განთავსებულ დევნილებისა და ასევე მათი მასპინძელი ოჯახების საჭიროებები, რათა დაიგეგმოს და უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი დახმარება;
- წერილობითი ფორმით ჩამოყალიბდეს და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს განსახლების წესები და კრიტერიუმები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ოჯახებს, რომელთა სათავეში ქალი დგას, ასევე მარტოხელა მოხუცებსა და შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირებს;
- განსახლებისას გათვალისწინებულ იქნას დევნილთა ტრადიციული ცხოვრების წესი, სოფლის მოსახლეობა დასახლებულ იქნას სოფელში, როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს მიეცეთ მიწის ნაკვეთი დასამუშავებლად;
- დევნილებისათვის სახლების საძირკველის ჩაყრისას გათვალისწინებულ იქნას შემდგომში სახლის გადიდების (სართულის დადგმის) საშუალება.

## 2. ინსტიტუტების დონეზე გასატარებელი ღონისძიებები

სივრცის გამოყოფა კოლექტიურ ცენტრებში

- მიზნად დაისახოს ერთი ოჯახის ერთ ოთახში განსახლება, დევნილთა პრივატობის მოთხოვნის მინიმუმის დასაკმაყოფილებლად;
- ყოველ საშუალო და დიდი ზომის კოლექტიურ ცენტრში გამოიყოს სივრცე: 1. მოსწავლეებისთვის, გაკვეთილების მოსამზადებლად; 2. საბავშვო ბაღისათვის, რომელთაც თავად დევნილები განაგებენ; 3. საინფორმაციო მაგიდის მუშაკისთვის; 4. საჭმლის მოსამზადებლად.

### წყალი და სანიტარული პირობები

- გაუმჯობესდეს და გაიზარდოს საპირფარეშოების რიცხვი; ამასთანავე, ყოველ კოლექტიურ ცენტრში გაყოფილ იქნას ქალთა და კაცთა საპირფარეშოები;
- თითოეულ კოლექტიურ ცენტრში იყოს წყალი;
- რეცხვისა და ბანაობისთვის შეიქმნას პირობები;
- კოლექტიურ ცენტრებში დამონტაჟდეს სარეცხი მანქანები.

### საკვები

- ბავშვთა სპეციალური საკვებით უზრუნველყოფილ იქნან ექვს თვემდე ასაკის ჩვილები;
- უზრუნველყოფილ იქნას ბალანსირებული კვება 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის და შესაბამისი კვება ორსული და მეძუძური დედებისთვის;
- რეგულარულად მიენოდოს ბოსტნეული, ხილი და რძის პროდუქტები ბავშვებს, ორსულ და მეძუძურ ქალებსა და მოხუცებს;
- მოხდეს კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებში დაბრუნებული დევნილების საკვებით უზრუნველყოფა;
- სარეაბილიტაციო საქმიანობების დაგეგმვისა და გადამწყვეტილებების მიღების დროს გათვალისწინებულ იქნას დევნილთა მიწებით დაკმაყოფილების აუცილებლობა.

### სხვა საჭირო ნივთები

- დაჩქარდეს საწოლების, ლეიბების, ბალიშების, საბნებისა და თეთრეულის მიწოდება;
- დაჩქარდეს ზამთრის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის, ასევე საცვლების, წინდებისა და საშინაო ფეხსაცმლის მიწოდება;
- მცირეწლოვანი ბავშვების ოჯახებს მიენოდოთ ბავშვის ეტლები, ბავშვის საფენები, ღამის ქოთნები და სათამაშოები;
- დაბრუნებულ მოსახლეობას ზამთრის დადგომამდე მიენოდოს შეშა.

### ჯანმრთელობა

- შეიქმნას ექიმების და ფსიქოლოგების საკმარისი რაოდენობის (ოჯახის ექიმები, გინეკოლოგები და ფსიქოლოგები) მობილური ჯგუფები, რომლებიც მოინახულებენ კოლექტიურ ცენტრებსა და ასევე კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებს;

- ყურადღება მიექცეს დევნილთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობას: მაგ.: შეიქმნას ცხელი ხაზი ანონიმური ფსიქოლოგიური კონსულტაციით; ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ხელი შეეწყოს ფსიქოლოგიურ-სარეაბილიტაციო ჯგუფების ჩამოყალიბებას ქალებისთვის, გოგონებისთვის, კაცებისა და ბიჭებისთვის;
- მოხდეს ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა, ინფორმაციის მიწოდება ბავშვთა, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის (ორსული და მეძუძური დედები, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები) და მოზრდილების კვებაზე;
- ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება მიჩნეულ იქნას ჯანმრთელობის პრობლემად და ოჯახური ძალადობის მასტიმულირებელ ფაქტორად. მოიძებნოს თანამშრომლობითი გზები პრობლემის მოსაგვარებლად;
- რეგულარულად მოხდეს ქრონიკული ავადმყოფებისთვის ექიმის მიერ გამონერილი წამლების მიწოდება;
- შეიქმნას გრძელვადიანი ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამები;
- მოხდეს მოზრდილთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების კოორდინაცია;
- რეაბილიტაციის პროგრამებში ჩართულ იქნას კერძო სექტორში მცხოვრები დევნილი მოსახლეობა;
- პირველადი ჯანდაცვის ექიმებს ჩაუტარდეთ ტრენინგი ტრავმაზე, ტრავმის სიმპტომებსა და ტრავმირებულ პირებისთვის დახმარების გაწევაზე;
- მასწავლებლებს ჩაუტარდეთ ტრენინგი ტრავმისა და ტრავმული რეაქციის სიმპტომების ამოცნობაზე.
- მომზადდეს და გავრცელდეს საინფორმაციო მასალები პროფესიონალებისთვის ფსიქო-სოციალური დახმარების გაწევაზე;
- მომზადდეს და გავრცელდეს საინფორმაციო მასალა არსებულ ფსიქო-სოციალურ დახმარებაზე;
- დაბრუნებული მოსახლეობა ჩართულ იქნას გრძელვადიან ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციაში.

### უფლებათა დაცვა

- შეიქმნას ოთხ-ხუთ კაციანი სააგენტოთაშორისი (არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით) მობილური ჯგუფები, რომლებიც რეგულარულად შეაფასებენ კოლექტიურ ცენტრებში არსებულ ვითარებას ადამიანის უფლებების კუთხით და მოამზადებენ ანგარიშებს შესაბამისი უწყებებისათვის;
- უზრუნველყოფილ იქნას კაც პოლიციელებთან ერთად ქალ პოლიციელთა დასაქმება კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებში. გარდა ამისა, მოხდეს პოლიციელების, როგორც ქალების, ასევე კაცების განვრთვა გენდერული ძალადობის საკითხებზე (ოჯახური ძალადობის ჩათვლით) ამ პრობლემებზე ეფექტურად რეაგირებს მიზნით;
- დაცულ იქნას გენდერული ბალანსი იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ინფორმაციისა თუ სხვა სერვისების მიწოდებულთა შორის;
- გაეწიოს იურიდიული კონსულტაცია დევნილებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა ვალდებულება ბანკების წინაშე, ოჯახური ძალადობის შემთხვევები, კერძო საკუთრების დაბრუნება/ანაზღაურება, და ა.შ.;
- დაბრუნება მოხდეს მხოლოდ უსაფრთხოების პირობების შექმნის შემდეგ, ქართული პოლიციის მოქმედებისა და ტერიტორიის განაღმვის ჩათვლით.

### ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

- ხელი შეეწყოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში საინფორმაციო ბაზის შექმნას არსებული და დაგეგმილი დახმარების ინიციატივების შესახებ;
- ყველა კოლექტიურ ცენტრში შეიქმნას საინფორმაციო ცენტრი, რომელიც დაკავშირებული იქნება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საინფორმაციო ბაზასთან. აღნიშნულ ცენტრს უნდა ჰყავდეს ერთი თანამშრომელი (სასურველია დევნილი), რომელსაც ექნება ინფორმაცია იმაზე თუ სად, როდის და რა სახის დახმარების მიღება არის შესაძლებელი;
- გაძლიერებულ იქნას გენდერული თანასწორობის ეროვნული მექანიზმი (პარლამენტის სპიკერთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო) გორში ახლად დაარსებული გენდერული რესურს ცენტრის მხარდაჭერით. ცენტრმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება იმ სერვისებზე, რომელთაც სთავაზობს სახელმწიფო თუ სხვა მოქმედი პირები (ცხელი ხაზის მეშვეობით, რომელიც დაეყრდნობა საინფორმაციო მონაცემთა ბაზას); გენდერული საკითხების გათვალისწინება და გენდერთან დაკავშირებული ინიციატივების კოორდინაცია ჰუმანიტარულ და აღდგენით საქმიანობაში;

- მოხდეს მთავრობასთან ადვოკატირება, იმისათვის, რომ დევნილებს მიეწოდოთ ინფორმაცია მათი დაბრუნების ან/და განსახლების რეალური შესაძლებლობების შესახებ, ასევე კომპენსაციის ოდენობასა და სახეობაზე და სხვა შესაძლო მატერიალურ დახმარებაზე;
- განხორციელდეს დაზარალებილი ზონის მოსახლეობისთვის ნაღმის საშიშროების საკითხზე ინფორმაციის მიწოდება სპეციალური პროგრამით, გამიზნული ცალკე ბავშვებზე, ქალებსა და კაცებზე;
- შემუშავებულ იქნას საკომუნიკაციო სტრატეგია ისე, რომ ინფორმაცია გასაგები იყოს განათლების დაბალი დონის მქონე მოსახლეობისათვის.

### ეკონომიკური მდგომარეობა

- კოლექტიურ ცენტრებში შეიქმნას საბავშვო ბაღის ტიპის დაწესებულებები და დასაქმდნენ დევნილები, რაც ხელს შეუწყობს დევნილ ქალთა უნარების განვითარებასა და მათ ჩართვას ეკონომიკურ საქმიანობებში;
- მიეცეთ შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, როგორც ქალებს ასევე კაცებს შესაბამისი უნარჩვევების გაძლიერების, პროფესიული წვრთნისა და მიკრო კრედიტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით;
- თბილისში განსახლებული დევნილები უზრუნველყოფილ იქნან ყოველთვიური სამგზავრო ბილეთებით;
- იძულებით გადაადგილებული პირები ჩართული იქნან რეაბილიტაციის პროცესში, მათში უმწეობისა და დაქვემდებარებული მდგომარეობაში ყოფნის შეგრძნების შექმნის თავიდან აცილების და შემოსავლის გაზრდის მიზნით.

### თემის დონეზე გასატარებელი ზომები

- მიეწოდოს დევნილებს ინფორმაცია სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და სხვა მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ;
- მიეწოდოს ინფორმაცია დევნილებს ოჯახური ძალადობის თაობაზე და მისგან თავდაცვის საშუალებებზე, რომლებიც ასახულია კანონში ოჯახური ძალადობის შესახებ. ასევე გაფრთხილებულ იქნან დევნილები ადამიანთა ტრეფიკინგის გაზრდილ საშიშროებაზე;
- გაძლიერებულ იქნას ქალთა შესაძლებლობები თავისი მათი მისწრაფებების გამოსახატად. მხარდაჭერილ იქნას დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებული სხვა ქალების ეკონომიკური რეინტეგრაცია მცირე ზომის ბიზნესის მხარდაჭერის გზით;
- მხარდაჭერილ იქნას დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ინიციატივები თანხების მოსაძიებლად, რომლებიც მოხმარდება მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას და განაპირობებს მათ მონაწილეობას ალდგენით სამუშაოებში;
- მხარდაჭერილ იქნას მშვიდობის აქტივიზმი, ნდობის აღდგენა, სახალხო დიპლომატიის ინიციატივები ერთობლივი პროექტების მეშვეობით, ახალგაზრდების, ქალებისა და კაცების მონაწილეობით. პროექტები უნდა ეხებოდეს კონფლიქტების დამანგრეველ შედეგებს, კონფლიქტის პრევენციას, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის უნარებს, და ქალთა საერთაშორისო დოკუმენტებით (CEDAW; UN SCR 1325 და 1820) გათვალისწინებულ უფლებებს;
- გაძლიერდეს ქალთა ჯგუფები და მოხდეს მათ მიერ დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების უფლებების დარღვევის შემთხვევაში უწყვეტი მონიტორინგი და დოკუმენტირება. ამ გზით განხორციელდეს დევნილ და სხვა დაზარალებულ ქალებსა და კონფლიქტის მონაწილე მეორე მხარეს შორის, ასევე მათსა და გადაწყვეტილების მიმღებთა შორის დიალოგის ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება, რათა მათი საშუალებით მოგვარდეს ადამიანის უფლებების დარღვევის აღწერილი ფაქტები.


### კოლექტიური ცენტრების მართვა

- ხელი შეეწყოს დევნილთა არჩევითი კომიტეტების მეშვეობით დევნილი ქალებისა და მამაკაცების მონაწილეობის გაზრდას კოლექტიური ცენტრების მართვაში (დადგენილ იქნას მონაწილეობის კვოტა სქესის მიხედვით – სულ მცირე 40% უმცირესობაში მყოფი სქესისთვის);
- დევნილების ჯგუფთან ერთად გაძლიერდეს არჩეული კომიტეტების უფლებამოსილება და შემუშავდეს მათი წესდება, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს კომიტეტები:
- ✓ მხარს დაუჭერენ დახმარების განაწილებისას მეტი გამჭვირვალობისა და სამართლიანობის მიღწევას;
- ✓ უზრუნველყოფენ უწყვეტ კომუნიკაციას დევნილებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის;
- ✓ გაზრდიან დევნილთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში მათი დაბრუნების და დახმარების საკითხებზე.

# დანართი 1: პრიორიტეტულ საჭიროებათა ნუსხა

რესპონდენტებს მოეთხოვებოდათ დაესახელებინათ მათი ოჯახების პრიორიტეტული საჭიროებები. საჭიროებათა რაოდენობა შეზღუდული არ იყო.

ათ ყველაზე საჭირო ნივთთა სიაში მოხვდა ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ფული, თეთრეული, ძილის პირობების გაუმჯობესება, სამზარეულო მოწყობილობები, საკვები, ტელევიზორი, წამლები, ავეჯი და შხაპი. საინტერესოა, რომ ეს ათი მოთხოვნა დიდად არ განსხვავდება რესპონდენტთა გენდერისა და განსახლების ადგილის მიხედვით.



ნახ. 1 ოჯახის საჭიროებები